F5A 6994
ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყორბადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 129 (20825) — შაბათი, 2 ივნისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

დღეს, მეცნიერთა უკანასკნელი ნამუშევრების მიხედვით და გამოცდილების გათვალისწინებით, იცვლება მიდგომა კოლხეთის ამოშრობილი მიწების გამოყენებისადმი, აღინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე. თუ ჯერ კიდევ ახლახან ჭაობებისაგან ასეთი ჯაფითა და დანახარჯებით გამოგლეჯილ ფართობებს ძირითადად ვიყენებდით ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების გასაშენებლად, ახლა აქ რეკომენდებულია მოეწყოს საძოვრები, გაკეთდეს ისინი მეცხოველეობის განვითარების საფუძველი. წინა ათწლეულების საკვალო გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ირავალწლოვანი ნარგავების პლანტაციები რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ჭაობიანდება, ამის შედეგად დახარჯული ძალ-ღონე და სახსრები უკუგებას არ იძლევა. ამავე დროს, სამეცნიერო კვლევას ყოველთვის როდი ჰქონდა გეგმაზომიერი და თანამიმდევრული ხასიათი, სუსტი იყო მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

განიხილა რა კოლხეთის დაბლობის ათვისების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი გაუმჯობესების საკითხი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების კოლხეთის ფილიალის ბაზაზე შეიქმნას კოლხეთის დაბლობის ათვისების ცენტრი. მას დაევალა შეიმუშაოს და განახორციელოს კოლხეთის დაბლობის ათვისებისა და აქ ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისა და კოორდინაციის კონკრეტული ღონისძიებანი.

ამ საკითხს უშუალოდ ეხება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვის“ გენერალური დირექტორის არჩილ კიკნაძის ანგარიში ამ ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ყველა ძალიან დააინტერესა ანგარიშისადმი წამძღვარებულმა ბრიშურამ, რომლის ფოტოსურათები თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ უკანასკნელი წლების მანძილზე, გაერთიანების მეცადინეობის მეოხებით, როგორ ანელებს შავი ზღვა თავის დამანგრეველ ძალასა და თმობს აგრესიულ პოზიციებს. დაბრუნებულია 110 ჰექტარი ხმელეთი, ნგრევისაგან დაცულია მრავალი სანაპირო ნაგებობა. დიდი მუშაობა გასწია გაერთიანებამ მდინარეების კალაპოტში ჩარეცხვის თავიდან აცილებისათვისაც.

მოისმინეს რა საქართველოს სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლუდვიგ ღურწკაიას ინფორმაცია რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობისა და მოსავლის აღებისათვის მზადების შესახებ, სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს უდანაკარგოდ მოსავლის აღების უზრუნველყოფას. აღინიშნა, რომ მოსავლის ასაღები კამპანია ყველაზე პასუხსაგები დროა სოფლის მშრომელთათვის, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მაქსიმალურად შევინარჩუნოთ მოსავალი, უზრუნველყოთ ხორცის და რძის დამზადების გეგმების უფუო შესრულება და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, — მათი შენახვა. საჭიროა აგრეთვე აუცილებლად შევასრულოთ სხვა რეგიონებში მთელი რიგი პროდუქტების მიწოდების სახელშეკრულებო კალდებულებანი, მუდამ გვახსოვდეს, რომ იქიდან რესპუბლიკა იღებს პროდუქტებს, რომლებიც მოსახლეობას აკლია და ჩვენში არ მზადდება. საჭიროა აგრეთვე უფრო გაბედულად და აქტიურად დავამყაროთ პირდაპირი კავშირურთიერთობა, რათა ოპერატიულად გადაწყვიტოთ საკითხები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას. ამისათვის შექმნილია შტაბი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბუგლარ მახარაშვილის ხელმძღვანელობით.

რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შექმნილია საგადასახადო სამსახური — მთავარი საგადასახადო ინსპექცია საქართველოს ავტონომიურ ფორმირებებში, ქალაქებსა და რაიონებში შესაბამისი ქვეგანყოფებითურთ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ გადასახადების გადახდევინების ძლიერი, გამართული მექანიზმი დღეს უკვე სრულიად აუცილებელია. ისევე, როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, გადასახადები რესპუბლიკური ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო უნდა გახდეს. ანავებს რა ამ სამსახურს დიდ მნიშვნელობას, მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა მისი რგოლების ხელმძღვანელები თავის ნომენკლატურაში შეიყვანოს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები დღეს მთელ ქვეყანას აწუხებს. რა უნდა გაკეთდეს, როგორ წარიმართება ურთიერთობა სახელმწიფოსა და საწარმოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და მეწარმეებს შორის და ა. შ. ყველა ესა და ბევრი სხვა საკითხი მოითხოვს კვალიფიციურ და ოპერატიულ პასუხს, სუსტი და მყაფიო კრიტერიუმების შემუშავებას. ამან მინისტრთა საბჭოს საჯაროობამდე მიიყვანა, რომ შეიქმნას მთელი რიგი კომისიები, რომელთა ამოცანა იქნება ყველა ამგვარი პრობლემის გადაჭრა. შექმნილთა შორისაა საწარმოთა განსახელმწიფოებრიობის, დეეტატიზაციისა და მცირე საწარმოთა ორგანიზაციის პროგრამის შემმუშავებელი კომისია (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოთარ ქვილითაია), საბაზრო ეკონომიკის გათვალისწინებით აგროსამრეწველო სფეროს რეორგანიზაციის პროგრამის შემმუშავებელი კომისია (თავმჯდომარე — საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სახაგრომრეწვის თავმჯდომარე გურამ მგელაძე), საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო-საფინანსო ურთიერთობის პრაქტიკული პროგრამის შემმუშავებელი კომისია (თავმჯდომარე — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დემურ დვალიშვილი) და სხვები.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 45 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა საკითხი. დასახულ ღონისძიებათა შორისაა ის, რომ თბილისში აშენდეს ვეტერანთა სახლი, გადაწყდა აგრეთვე, 9 აპრილის აქციების დროს დაზარალებულთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა, პირველად თავისი მუშაობის პრაქტიკაში, დამოუკიდებლად, ცენტრთან შეუთანხმებლად, აკადემიურის სახელწოდება მიანიჭა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს. ვაჟა-ფშაველას სახელი მიენიჭა თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრს.

პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი რიგი საკითხები.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე. (საქინფორმი).

„მრგვალი მაგიდა“ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში

30 და 31 მაისს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრები სპეციალისტებთან და ხელმძღვანელებთან შეხვედრით დაიწყო ეკონომიკურ ქვეგანყოფებად და სამსახურებთან, რეგიონალურებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკითხში თვალსაჩინო ეკონომისტ მეცნიერებთან რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გ. გუმბარიძის კონსულტაციებისა და აზრთა გაზიარების სერია.

განიხილეს ფართო წრის პრობლემები, რომლებსაც მთელი რიგი სპეციფიკური პირობების გამო შეიძლება წააწყდეს საქართველოს ეკონომიკა გარდამავალ პერიოდში. განსაზღვრულია ახალ პირობებში მისი ეკონომიკური ინტერესებისა და უფლებების დაცვის მექანიზმის შექმნისათვის მუშაობის ძირითადი პარამეტრები.

დაწვრილებითი ანგარიში სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მიმდინარე „მრგვალი მაგიდის“ შეხვედრის შესახებ გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

სსრკ-აშშ: უმაღლესი დონის შეხვედრა

დრო გადაიდგას შემდეგი ნაბიჯი!



სურათზე: თეთრ სახლში შეხვედრის ოფიციალური ცერემონიის დროს. **საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.**

ვაშინგტონი, 31 მაისი **(საკდესის სპეც. კორ.).** ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი სტუმართმოყვარულად შეხვდა ოთხშაბათს ნაშუადღევს სახელმწიფო ვიზიტად ჩამოსულ სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს. ეს სტუმართმოყვარეობა აისახება მდიდარი ფერადოვანი სიმბოლიკით — დროშების სიუხვით. ისინი ამშვენებენ არა მარტო თეთრ სახლსა და მის მიდამოებს, არამედ სახელმწიფო ვიზიტის პროგრამასთან დაკავშირებული სხვა შენობების ფასადებსაც, სასტუმროებს, რომლებშიც განლაგდა 60 ქვეყნის ჟურნალისტთა 5-ათასიანი არმია, საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრის მიმდინარეობას რომ აშუქებენ.

უკვე ზედიზედ რამდენიმე დღეა ამერიკის შეერთებული შტატების ყველა საინფორმაციო სააგენტო, ტელეკომპანიები უცვლელად ხსნიან თავის გამოშვებებს რუბრიკით „სამიტი“. ეს ტევადი ინგლისური სიტყვა, რომელიც აზრობრივად „უმაღლესი დონის შეხვედრის“ იდენტურია, ამერიკელებისათვის ნიშნავს მოლოდინს, უეცარი დროების მოლოდინს, სასიკეთო ხვალინდელი დღის იმედს. როგორც ვაშინგტონის გაზეთები იუწყებიან, ამერიკელთა 73 პროცენტმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის დროს მხარი დაუჭირა საბჭოთა ხელმძღვანელის პოლიტიკას.

ამ გამოკითხვათა მონაწილეებს შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ ისინიც, ვისაც სურს შეაფერხოს დიალოგის წარმატებული მიმდინარეობა, ურჩიოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს გამოიყენოს საბჭოთა კავშირის საშინაო სიძნელეები, აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ამბები იმისათვის, რომ უკარნახოს სსრ კავშირს თავისი პირობები მოლაპარაკებაში. მაგრამ მეტ წილ ამერიკელებს მოსწონთ ჯ. ბუშის. აწონილ-დაწონილი პოზიცია უმაღლესი დონის შეხვედრის დღის წესრიგში შეტანილ უმნიშვნელოვანეს პუნქტებზე. ორი ქვეყნის ძალისხმევით, მიაჩნიათ მათ, შეიქმნა სასიკეთო მარაგაკეთი დიალოგში, რომელიც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიწყო ჟენევაში ხუთი წლის წინათ, და მაშასადამე, დროა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯი.

... ენდრიუსის ავიაბაზა. ვაშინგტონის დროით 19 საათზე „ილ-62 მ“ ავიალაინერი დაეშვა ბეტონის ზოლზე და მიადგა ნათელ პავილიონს, რომელიც მორთულია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშებით. თვითმფრინავის კიბესთან მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს შეეგებნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. ბეიკერი მეუღლითურთ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯ. მეტლოკი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ა. ბესმერტნიხი, სხვა ოფიციალური პირნი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტი უახლოვდებიან მიკროფონებს.

მიმართა რა სტუმარს, ჯ. ბეიკერმა თქვა:

ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონო გორბაჩოვა!

პრეზიდენტ ბუშის, ქალბატონ ბუშისა და ამერიკელი ხალხის სახელით მოხარული ვარ მოგესალმოთ თქვენ ვაშინგტონში. ბატონო პრეზიდენტო, მთელი მსოფლიო შემოგყურებთ თქვენ და პრეზიდენტ ბუშს. ჩვენ ერთად ვაგებთ პასუხს იმისათვის, რომ ბოლო მოვუღოთ არა მარტო ცივ ომს, არამედ კონფლიქტებსაც, რომლებიც წინ უძღოდა მას.

ამას რომ მივაღწიოთ, უნდა ვიხელოთ გაერთიანებული გერმანია და შერიგებული ევროპა, უნდა შევამციროთ ომის საფრთხე ბირთვულ, ქიმიური და ჩვეულებრივ სახეობათა შეიარაღებისადმი კონტროლის გზით, აგრეთვე რეგიონული კონფლიქტების გადაჭრის გზით. ჩვენ აგრეთვე გვსურს ვიხელოთ შემდგომი წინსვლა საბჭოთა კავშირში დემოკრატიისა და საჯაროობის გზაზე.

ბატონო პრეზიდენტო, გასული წლის ზამთრიდან მსოფლიო მოუთმენლად მოელის ამ ვიზიტს და შასთან დაკავშირებული იმედების ახდენას. მაშ, მოდით, შევეცადოთ ამ კვირაში გავამართლოთ ეს იმედები.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა:

გმადლობთ, ბატონო სახელმწიფო მდივანო, შეხვედრისა და სტუმართმოყვარე სიტყვებისათვის. ამერიკის მიწა-წყალზე ყოფნის პირველ წუთებში სსრ კავშირის ხალხთა სახელით ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს.

მოგველის დიდი სჯა-ბაასი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან. მის შედეგებზე დიდად იქნება დამოკიდებული, როგორ წარიმართება საქმეები არა მარტო ჩვენთან და თქვენთან, ამერიკელებთან, არამედ უფრო ფართო თვალსაზრისითაც.

გვექნება შეხვედრები სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან, საზოგადოებრიობასთან, ვიმედოვნებ, სხვადასხვა წოდებისა და მდგომარეობის მოქალაქეებთანაც.

უმაღლესი დონის ახლანდელი შეხვედრის თავისებურება და მნიშვნელობა „უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მისგან მოელიან ხელმძღვანელს გულთბილად მიესალმებოდნენ დედაქალაქის მცხოვრებნი. დღეს მთელი ამერიკა სსრ კავშირის პრეზიდენტს ეუბნება „ველკომ!“ — „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება!“. ჭილიონობით ამერიკელს გულწრფელად ახარებს ეს ახალი ხელის ჩამორთმევა, ახლანდელი უმაღლესი დონის შეხვედრა მიაჩნიათ ისტორიულ, გადამწყვეტ მოვლენად უსაფრთხო და გონივრული მსოფლიოსაკენ მიმავალ გზაზე.

სსრ კავშირის პრეზიდენტის ავტომობილი ზუსტად 10 საათზე შევიდა თეთრი სახლის ტერიტორიაზე. ძველებური პარკის, მდელოების ფონზე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენციის შენობის მთელ პარამეტრზე ფრიალებს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის სახელმწიფო დროშები, აგრეთვე კოლუმბიის ოლქის დროშა.

მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს შეხვდა ჯ. ბუში მეუღლითურთ. პრეზიდენტებმა გაიარეს ასამდე მეტრი მდელოზე და პოდიუმზე ავიდნენ.

დაიწყო საპატიო და სასურველი სტუმრის შეხვედრის საზეიმო ცერემონია. ჟღერს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნები, ქუხს საარტილერიო სალუტი. მ. ს. გორბაჩოვმა ჯ. ბუშის თანხლებით ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს...

თეთრ სახლში შეხვედრის ოფიციალური ცერემონიის დასასრულს შეერებილთა წინაშე გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და სსრ კავშირის პრეზიდენტი.

უსაფრთხო და გონივრული მსოფლიოსაკენ

ვაშინგტონი. 31 მაისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** ოთხშაბათ საღამოს ვაშინგტონში ჩამოსული მ. ს. გორბაჩოვის სახელმწიფო ვიზიტის სამუშაო ნაწილი დაიწყო ხუთშაბათს დილით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენციაში შეხვედრის ოფიციალური ცერემონიით.

სსრ კავშირის საელჩოდან თეთრი სახლისაკენ მიმავალ გზაზე ბევრ გზაჯვარედინზე საბჭოთა ხელმძღვანელს გულთბილად მიესალმებოდნენ დედაქალაქის მცხოვრებნი. დღეს მთელი ამერიკა სსრ კავშირის პრეზიდენტს ეუბნება „ველკომ!“ — „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება!“. ჭილიონობა ამერიკელ ადამიანს ესმის, ეს ნიშნავს, — ომი, ეს ნიშნავს, — ომი, ეს ნიშნავს, — ომი

რას უქადის საქართველოს თავისუფალი ბაზარი

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ომარ ვარძელაშვილის გამოსვლის ტექსტი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიისათვის საბჭოთა მთავრობის მოხსენების გამო — „ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციის შესახებ“.

მთავრობის მოხსენებაში არ არის გახსნილი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის მექანიზმი და მათი ადგილი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. უფრო მეტიც, მოხსენებაში უფლებების მხრივ თითქმის უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ ქვეყანა შედგება სუვერენული სახელმწიფოებრივი ფორმირებებისაგან, ხოლო რაც შეეხება პასუხისმგებლობას, აქ მოკავშირე რესპუბლიკები უყურადღებოდ არ არის დატოვებული.

დავიწყოთ მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიებით, რომლებზე ზრუნვითაც განმსჭვალულია მოხსენება. ეს გასაგებიცაა, რადგან ბაზრის ფორმირების პირველ ეტაპზე მოსახლეობის სოციალური აღფოთება რამდენჯერმე უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე წარმოდგენილ განგარიშებაშია ნაგულისხმევი. მაგრამ გაუგებარია, გარდა დიქტატისა, სხვა რა საშუალებები აქვს საკავშირო მთავრობას ამ ღონისძიების განხორციელებისათვის, თუ მთლიანად სოციალური სფერის დაფინანსების პასუხისმგებლობა ძირითადად გადატანილია მოკავშირე რესპუბლიკებზე.

თავის მხრივ მოკავშირე რესპუბლიკები სოციალური დაცვის ღონისძიების განხორციელების საიმედო გარანტები ვერ იქნებიან, რადგან ფასწარმოქმნის პოლიტიკის განხორციელების, საფინანსო-საკრედიტო სისტემის, ფულის მიმოქცევის და საგარეოეკონომიკური ურთიერთობათა ორგანიზაციის უფლებები დატოვებულია ცენტრის განკარგულებაში.

თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამას პრაქტიკულად, შეიძლება დავინახოთ შემდეგი მაგალითებით:

მალე უნდა გამოვიდეს მოგების დაბეგვრის ერთიანი განაკვეთების კანონი, რომლის შესაბამისად ყველა საწარმოს მოგების 30 პროცენტი უნდა გადაირიცხოს საკავშირო ბიუჯეტში, ხოლო 25 პროცენტი დარჩეს ერთად აღებული რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების განკარგულებაში. ვერ ვიტყვი, როგორ არის ეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგრამ საქართველოში რესპუბლიკური მეურნეობის ხვედრითი წილი მთელ მოგებაში ფაქტობრივად დაახლოებით 73 პროცენტს შეადგენს, ე. ი. თითქმის სამ მეოთხედს. შესაბამისად, დაბეგვრის ახალი წესის მიხედვით, საკავშირო ბიუჯეტს უნდა გადავურიცხოთ 30 პროცენტი სამი მეოთხედისა და სამაგიეროდ მივიღოთ მხოლოდ მოგების ერთი მეოთხედის 25 პროცენტი.

თანაც, ჩვენ საერთოდ არ ვიცით საიდან არის აღებული 30 პროცენტი. იქნებ 31 პროცენტია საჭირო ან 29. ამას არ ეუბნებიან არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკებს, არამედ არც უმაღლეს საბჭოს. ლოგიკა კი მოითხოვს, რომ დაანგარიშდეს იმ ხარჯების მოცულობა, რომლებიც საკავშირო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს და შემდეგ განაწილდეს პროპორციულად მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

ავიღოთ მეორე მაგალითი:

მოხსენებაში ნათქვამია, რომ უნდა შეიცვალოს საზღვარგარეთ მარცვლის შესყიდვის წესი და იგი განხორციელდეს მოკავშირე რესპუბლიკების ვალუტის ხარჯზე, რათა გამოირიცხოს სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილება.

ჯერ ერთი, საიდან მოვიტანოთ ამდენი უცხოური ვალუტა, თუ თითქმის მთელი ჩვენი ტრადიციული პროდუქცია სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობაში შედის, ხოლო ზეგეგმითი რაოდენობა ცენტრის მკაცრ ლიცენზირებას ექვემდებარება, და შემდეგ — რას ნიშნავს სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილება?

იცით უკანასკნელ ხანს ჩვენში საზოგადოებრივი მოძრაობების, ახალი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აკრიტიკებენ რესპუბლიკის ოფიციალურ ხელისუფლებას იმის გამო, რომ თითქოს მან ცენტრის დიქტატის მიხედვით სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დისტროფია მოახდინა და იგი გადააქცია იმპერიული ეკონომიკის კოლონიურ დანამატად. აქამდე ჩვენ საკმაოდ წარმატებით ვამტკიცებდით, რომ საქართველო მონაწილეობდა შრომის საკავშირო დანაწილებაში და საწარმოო სპეციალიზაციის მიღებული მიმართულებანი სასარგებლო იყო უწინარესად ჩვენი მოსახლეობისათვის. ახლა როგორღა ავხსნათ, რომ მარცვლეული უცხოურ ვალუტაზე უნდა შევიძინოთ, ხოლო ჩვენი სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების პროდუქცია კი საბჭოთა მანეთებზე გავყიდოთ?

თქვენ, ალბათ, არ იცით, მაგრამ ჩვენმა ოპონენტებმა ძალიან კარგად იციან, რომ რევოლუციამდელ საქართველოდან საექსპორტოდ გაჰქონდათ სიმინდი.

ამ ბოლო ხანს ხშირად გვეუბნებიან, ქვეყანა არ დაიქცევა თქვენი სუბტროპიკული და სამხრეთული კულტურების გარეშეო. რას წარმოადგენს, მაგალითად, თქვენი ჩაი — მდარე ხარისხისაა და ღირს კი მსოფლიო ბაზრის ფასებზე ორნახევარჯერ ძვირი, საქართველო კი ბევრ საქონელს იღებს მსოფლიო ფასებთან შედარებით გაცილებით იაფადო.

რას იზამ. მართალია, ქართულ ჩაის დღეს ვერ შეადარებ ცეილონურს, მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია. არც საქართველოსთვის მიწოდებული საქონლის ხარისხი შეესაბამება მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს.

რაც შეეხება ფასებს, მათ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კონიუნქტურული მრმენტები, და განა როდესმე ჩვენი სახელმწიფოს განვითარების რომელიმე ეტაპზე ვიღებდით ჩვენ მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობათა ბაზად მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურულ კატაკლიზმებს?

სხვათა შორის, კონიუნქტურის შესახებ.

ორმოცდაათიანი წლების მიწურულს და სამოციანი წლების დამდეგს ერთი ტონა ჩვენი ნავთობის საექსპორტო ფასი 13-15 დოლარი იყო (ტრანსპორტის ხარჯების ჩაუთვლელად), მაშინ ნავთობის და ჩაის ფასების შეფარდება მსოფლიო ბაზარზე იყო დაახლოებით 1:70-თან ჩაის სასარგებლოდ. ახლა კი კონიუნქტურის შეცვლის გამო ეს შეფარდება შეიცვალა და დაახლოებით 1:12-თან, 1:15-თან შეადგენს. იქნებ ახლა ჩვენ უფლება გვაქვს წარვადგინოთ ანგარიშები იმდროინდელ ფასების საფუძველზე? მით უმეტეს, რომ ახლა მარცვლეულის საშინაო ფასებმა მკვეთრად— 2-3-ჯერ აიწია (და არა 55 პროცენტით, როგორც მოხსენებაშია) და უკვე 6-8-ჯერ აღემატება მსოფლიო ბაზრის ფასებს.

ჩვენ არ ვდავობთ მარცვლის შესასყიდი ფასების მომატების აუცილებლობაზე; მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხომ უნდა ვიფიქროთ იმ პროპორციებზეც, ათწლეულების განმავლობაში რომ ჩამოყალიბდა ქვეყანაში, თორემ ზოგიერთები სრულიად დაუშსახურებლად მართლაც გავხდით სხვისი ხელის შემყურენი.

ჩვენ, მაგალითად, ვთვლით, რომ სრული უფლება გვაქვს საკავშირო მთავრობისაგან მოვითხოვოთ პასუხი აგოს იმ შედეგებისთვის, რომლებიც საწარმოო სპეციალიზაციის მიმართულებების იძულებითის შეცვლას შეიძლება მოჰყვეს, მიუხედავად იმისა, თუ რა მოცულობით იქნება დადგენილი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტი.

და ბოლოს, მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ, როცა უზენაესი საბჭო იხილავს მთავრობის მოხსენებას და მსჯელობს, შემოიღოს თუ არა რეგულირებადი საბაზრო მექანიზმი, ქვეყანაში დაუოკებლად ვითარდება ისეთი პროცესები, რომლებსაც შეუძლიათ უაზრობად აქციონ მთელი ეს მუშაობა: სახელმწიფო შეკვეთების შეუსრულებლობა, 1991 წლის საწარმოო პროგრამის განხორციელებისათვის სახელშეკრულებო ურთიერთმოწოდებებზე უარის თქმა საგეგმო კომიტეტის მიერ დაშვებული ლიმიტების მიხედვით, თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის მოთხოვნა და ა. შ. — ყველაფერ ამას უკვე გაისად შეიძლება ეკონომიკური კატასტროფა მოჰყვეს.

მდგომარეობა დაბეჯითებით მოითხოვს გადაუდებელ ღონისძიებებს.

თუ საჩქაროდ არ მოიძებნა ძალები, რომლებიც უზრუნველყოფენ არსებული ან ახალი ეკონომიკური მექანიზმის ფუნქციონირებას, უნდა დაუყოვნებლივ მოხდეს მთელი სახალხო მეურნეობის მართვის დეცენტრალიზაცია (გარდა თავდაცვითი მნიშვნელობის საწარმოებისა), უარი ითქვას ცენტრიდან ყოველგვარ რეგლამენტაციაზე და მიეცეს წინადადება მოკავშირე რესპუბლიკებს, გადავიდნენ უშუალო, პირდაპირ ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

გამოსვლის ტექსტი იბეჭდება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიის მასალებში.

ავიც დავინახოთ და კარგიც

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ილია გეგიაშვილს

ბატონო ილია!

ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო. თქვენ უკვე თქვით სათქმელი და ახლა, იმედია, ჩვენც მოგვისმენთ. მით უმეტეს, რომ თქვენი ნათქვამი-ნააზრევის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის სურვილი გქონდათ ალბათ, და ამ მიზნის მისაღწევად კერძო წერილს გაზეთის ფურცლები ამჯობინეთ. ეს გვაფიქრებინებს, რომ პასუხის ამაგე საშუალებით მილების იმედი გაქვთ... იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა ყოველ კეთილ საქმეში. ჩვენ ვეცდებით წერილში წამოჭრილი თქვენთვის საინტერესო საკითხები შეძლებისდაგვარად განვმარტოთ; შეძლებისდაგვარად იმიტომ, რომ მე არ ვიცი თქვენი პროფესია და ფინანსურ საკითხებში ცოდნის დონე, და ამიტომ ვეცდები რაც შეიძლება გასაგებად ვთქვა ის, რასაც შეუნუხებიხართ. რომ ვუფიქრდები, ეს არც ისე ადვილია, რადგან საქმეში ჩაუნდგავი მკითხველისათვის, უთოოდ, გაუგებარი უნდა იყოს თქვენი წერილის მიზანი და დანიშნულება, ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრებები და ბოლოდგე გაუმხელელი აზრები. თუმცა ერთი რამ კი ნათელია, — ეს არის თქვენი დაუოკებელი სურვილი, რადაც უნდა დაგიჯდეთ შეურაცხყოფა მიაყენოთ ადრესატს. ვინ იცის, სხვასთან ანგარიშის გასწორების სურვილი (რამაც დღეს, სამწუხაროდ, ასე მოიკიდა ფეხი ჩვენს საზოგადოებაში) შეიძლება მომავალშიც არაერთხელ აღგეძრათ და მხოლოდ ამიტომაც ღირს შევეცადო სწორ გზაზე დაგაყენოთ... მით უფრო, რომ თქვენ გიტვირთიათ ერთობ რთული, მძიმე და დიდად საშური საქმე — ქართველთა გამრავლების თვის ზრუნვა. და მწამს რა, რომ ამ კეთილშობილ საზოგადოებას ასევე კეთილშობილი ადამიანები დასტრიალებენ თავს, ვფიქრობ მეტი სულგრძელობა და შორსმჭვრეტელობა გმართებთ (იმედია, ასეც იქნება მომავალში), იმისათვის, რომ ჩვენი სამართლიანი სურვილები ჩვენსავე შესაძლებლობებსა და, რაც მთავარია, ქართველი ერის უზენაეს მიზანს დავუქვემდებაროთ.

თქვენ კი რატომღაც მოკრძალებით უვლით გვერდს ამ მთავარ საკითხებს, აქცენტები სულ სხვა, გამგონილ, გაზვიადებულ ფაქტებზე გადაგაქვთ. სათქმელი კი ზუსტად და ბოლომდე უნდა ითქვას. ამდენად, ახლა მე უნდა ვიტვირთო ეს საქმე. ჰოდა, ვწეროთ და ვიკითხოთ, საქმე ხომ მოლეული გვაქვს, ასე არ არის?!

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნაში, რომლის თითქმის მეოთხედი საკავშირო ბიუჯეტიდან არის მიღებული, წვლილი შეაქვს რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას და ასეთი წესით შეგროვილი სახელმწიფო სახსრების გამორჩეულად განაწილება ვერაფერი სახელმწიფო პოლიტიკა იქნებოდა. ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს ხელისუფლების ასეთი ნაბიჯი დღეს, მეტი რომ არა ვთქვათ, ხელს ვერ შეუწყობდა საქართველოს კარსმომდგარი დამოუკიდებლობის მიღწევას... ხოლო ჩვენშიც და საქართველოს ფარგლებს გარეთაც არც ისე მცირერიცხოვან ჩვენს მოშურნეებს კარგ კოზირს მისცემდა ხელში, კიდევ ერთ დაბრკოლებას შეუქმნიდა ქართველ ხალხს სანუკვარი მიზნის გზაზე. მერწმუნეთ, თუ ასე ვიმოქმედეთ, ჩვენ, რომელნიც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებას ვაპირებთ, ამის მერე დაგვიჯერებენ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში სხვა ეროვნების ადამიანები თანასწორუფლებიანი იქნებიან?

ასე რომ, ჩვენ ამ პრობლემას უფრო ფართო ასპექტით განვიხილავთ და ყოველდღიურ საქმიანობაში, ყოველი ცალკეული საკითხის გადაწყვეტისას მრავალტანჯული საქართველოს ინტერესებთან ვხელმძღვანელობთ და ვცდილობთ ყოველი გადაწყვეტილება დიად მიზანს— საქართველოს დამოუკიდებლობის მოახლოებას დავუქვემდებაროთ, ხოლო რაც კი ამ საქმეს ოდნავ მაინც შეაფერხებს, უკუვაგდოთ. ნუ გეგონებათ, თითქოს ამას მხოლოდ სალაპარაკოდ ვამბობდე. თქვენ საშუალება გქონდათ თავად დარწმუნებულიყავით ამაში. გახსოვთ, ალბათ, იყო შემთხვევა, როცა თქვენ მიერ აღძრული თავისთავად უდავოდ კეთილშობილური საკითხი ვერ გავიზიარეთ, მიუხედავად თქვენი მუქარისა — აქციებს მოგიწყობთო. აკი მოგვიწყვეთ კიდეც და მთავრობის სახლის წინ ჩემს სანინააღმდეგოდ მიტინგი გამართეთ და გაიძახოდით, ძირს ფინანსთა მინისტრიო. პირდაპირ გეტყვით თქვენც და სხვებსაც: რამდენი აქციაც უნდა მოაწყოთ, რამდენი წერილიც უნდა გამომიგზავნოთ, საკუთარ ხალხს ვერ ვუღალატებ, ყველაფერს ,მხოლოდ სინდისის კარნახით გავაკეთებ.

თქვენ, როგორც ჩანს, ანგარიშსა და ანგარიშიანობას მაინცდამაინც დიდ პატივს არა სცემთ და ჩვენ ეს არც „გვიკვირს, მაგრამ ფინანსისტებს ამას არავინ გვაპატიებს.

ბატონო ილია, ოჯახის კაცი ბრძანდებით და მეზობელმა ფული რომ გთხოვოთ სესხად, თუ არ აღმოგაჩნდათ, დახმარების ძალიან დიდი სურვილიც რომ გქონდეთ, ხომ ვერ შეძლებთ, რადგან ჩვენს კეთილ სურვილებს ჩვენივე შესაძლებლობანი ზღუდავს ხოლმე.

სხვათა შორის, ასეა ყველაფერში: ადამიანის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა მატერიალური დოვლათის მარაგი და ფინანსური რესურსებიც.

ჰოდა, თუ ასეა, ასე ძლიერ რატომ გაგიკვირდათ და ესოდენ რატომ გააშარეთ თქვენს წერილში ფინანსური წყაროების თაობაზე გამოთქმული ჩვენი დაინტერესება?

იცით თუ არა, რომ წამოჭრილი პრობლემის დადებითად გადაწყვეტას 200 მილიონი მანეთი სჭირდება, რაც, სამწუხაროდ, სახელმწიფო ბიუჯეტს არა აქვს და არც არანაირი რეზერვი გაგვაჩნია.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თქვენი მოსაზრება, უეჭველია, კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება. მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ იმის განაწილება შეგვიძლია, რაც ხელთა გვაქვს. ხოლო იმას, რომ ერთს წაართვა და მეორეს მისცე, დიდი ჭკუა-გონება არ სჭირდება. გამოსავალი მხოლოდ მატერიალური დოვლათის ზრდაშია. და როგორც მოგეხსენებათ, დოვლათი არა ფინანსთა სამინისტროში, არამედ სულ სხვაგან — ფაბრიკებში, ქარხნებში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში იქმნება. ამიტომ ყველამ ერთად, საერთო ძალისხმევით უნდა ვიზრუნოთ ჩვენი დოვლათის მატებისათვის, საქართველოს ძლიერებისათვის, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ მრავალშვილიანი ოჯახების, ბევრი ხელმოკლე და მცირეშემოსავლიანი თანამემამულის ცხოვრების დონე და, რაც მთავარია, ეკონომიკურად უზრუნველყოთ ჩვენი პოლიტიკური თავისუფლება.

ასე რომ, ჩემი, როგორც ფინანსთა მინისტრის, და თქვენი, როგორც დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილის, პრობლემის სხვადასხვა მხარეს დგომა არ ივარგებს; საქმეს ვერ წაადგება. გაიხსენეთ, ფინანსთა სამინისტროს სიკეთეც აქვს თქვენი საზოგადოებისათვის გაკეთებული... ყველაფერს წყალში ნუ გადავყრით და ასე ჰაიჰარად წყალს ნუ გავატანთ. მოგეხსენებათ, არსთა გამრიგე კარგსაც ხედავს და ავსაც.

და კიდევ ერთი რამ. ნუთუ მართლა გჯერათ, რომ უდიდესი მნიშვნელობის სოციალური საკითხების გადაწყვეტა ფინანსთა სამინისტროს სურვილსა და გუნებაზეა დამოკიდებული? მერწმუნეთ, ასე არ არის.

ასევე მინდა იცოდეთ, რომ 1990 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და მასში ხარჯების განაწილება დაამტკიცა უზენაესი საბჭოს სხვისამ. ამდენად, ასეთი დიდი მნიშვნელობის სოციალური საკითხი მხოლოდ საერთო-სახალხო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, რადგან უნდა შემცირდეს სკოლებისთვის, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების, კულტურის დაწესებულებების მშენებლობისათვის და ა. შ. უკვე გამოყოფილი დაფინანსება. თქვენ, ალბათ, იტყვით, შემცირდესო...

ერთი ფრიად საინტერესო დეტალი: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გაცემა მთავრობას გათვალისწინებული აქვს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალიდან. სათანადო ღონისძიებები, რომლებშიც აისახება საჭირო ფინანსური სახსრების რეალური წყაროები, უკვე მუშავდება.

ისე, ბატონო ილია, თუ არ მიწყენთ, ნება მიბოძეთ გკითხოთ: რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდით, როცა მრავალშვილიანობის ათვლის წერტილად ხუთშვილიანი ოჯახი აიღეთ? სსრ კავშირში ხომ ოთხი შვილი უკვე მრავალშვილიანობად ითვლება და იქნებ სჯობდეს საქართველოშიც ამით გვეხელმძღვანელა...

და ბოლოს, როცა ვინმეს განსაქიქებლად კვლავ კალმის აღებას დააპირებთ, გახსოვდეთ დიდი სულხან-საბას შეგონება: მოყვასის მაგინებელი კაცი საკუთარ თავს უფრო აყენებს ზიანს, თავის გულსა და ენას ცოდვით ისვრის, თორემ მას კაცსა არარა ევნო, ვისიცა ენება გინება...

კეთილად ბრძანდებოდეთ.

დემურ დვალიშვილი,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

საქართველოს ისტორიის ახალი მნიშვნელოვანი წყარო

ქართველ საზოგადოებრიობას თავის დროზე ჩვენ უკვე ვაუნყეთ, რომ სამშობლოში დაბრუნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არქივი. იგი წარმოდგენილია რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოთა, სახელმწიფო დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა მოღვაწეობის შედეგად შექმნილი დოკუმენტების მიკროფოტოპირებით. ეს მასალა 1988 წლის ივლისში ჩამოიტანა თბილისში გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის თანამშრომელმა, ჩვენმა თანამემამულემ, აწ განსვენებულმა ბ-მა ზურაბ გელეყვამ.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის დირექტორს ზურაბ ძვანიას და ესაუბრა მას.

— ბატონო ზურაბ, ამრიგად, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არქივი, მართალია, მიკროპირების სახით, მაგრამ მაინც დაბრუნდა თავის სამშობლოში. მანამდე კი მისი გზა საკმაოდ რთული და ეკლიანი იყო.

— 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როგორც ცნობილია, ემიგრაციაში წასულთა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი არქივის ნაწილი თან წაიღო.

ქართული დოკუმენტები ერთხანს ინახებოდა იქ, სადაც ბინა დაიდეს ჩვენმა თანამემამულეებმა, — ლევიღლში — „ქართულ მამულში“. მოგვიანებით ისინი ჩაიტანეს პარიზში. და დასაცავად გადასცეს საფრანგეთის ეროვნულ არქივს. ეს აქტი გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო მხარეებს შორის — ე. ი. საფრანგეთის ეროვნულ არქივსა და ქართული არქივის მესვეურთა შორის. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შემდეგ პირობებს: ქართული არქივის შენახვის ვადა არის ოცდაათი წელი — იმ დღიდან როცა იგი შეიტანეს საფრანგეთის ეროვნულ არქივში; ამ ვადის გასვლის შემდეგ ქართული არქივი უნდა დაბრუნდეს სამშობლოში — გადაეცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს; ვადაზე ადრე შესაძლებელია არქივის გამოტანა (თუ ამას მოითხოვენ დეპოზიტორები), მხოლოდ რაიმე საგანგებო შემთხვევის დროს; ქართული არქივის დეპოზიტორები არიან აკაკი ჩხენკელი, კონსტანტინე კანდელაკი, ნოე ცინცაძე, გიორგი ერაძე, სოსიპატრე ასათიანი; არქივი შეინახება უფასოდ, ოღონდ იმ ყუთების რაოდენობა, რომლებშიც მოთავსებულია ქართული დოკუმენტები, არ უნდა აღემატებოდეს ოცს.

კონსტანტინე კანდელაკისა და აკაკი ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ, 1959 წლის 17 აპრილს მათს ნაცვლად დეპოზიტორებად წარდგენილ იქნენ პაულე სარჯველაძე და ლევან ფაღავა. უფრო ადრე ავადმყოფობის გამო კომისიის შემადგენლობაში მუშაობაზე უარი განაცხადა სოსიპატრე ასათიანმა და თავისი რწმუნება მანდატით გადასცა მამია ბერიშვილს. კომისიის წევრად კოოპტაციის წესით შეიყვანეს აგრეთვე კარლო ინასარიძე. კომისიის გამგის მოვალეობას ასრულებდა გიორგი ერაძე.

რამდენიმე წლის შემდეგ საარქივო კომისიის გაფართოებულ კრებაზე (1969 წლის 23 მარტი), რომელსაც ესწრებოდნენ გიორგი ერაძე, ნოე ცინცაძე, გრიშა ლომაძე, პაულე სარჯველაძე, ლევან ფაღავა, ვალიკო ჩუბინიძე და მამია ბერიშვილი, კომისიის გამგედ, გრიგოლ ერაძის ნაცვლად, რომელიც ოფიციალურად გადადგა, აირჩიეს მამია ბერიშვილი. 1978 წლის 12 მარტს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთა ბიუროს ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საარქივო კომისიის შემადგენლობა რჩება უცვლელი და ემორჩილება პარტიის საზღვარგარეთა ბიუროს, ხოლო მისი ადგილსამყოფელია ლევილი.

— როგორი იყო არქივის შემდგომი ბედი?

— 1970-იან წლებში მომხდარი წყალდიდობის შედეგად საფრანგეთის ეროვნული არქივის სხვა მასალებთან ერთად დაზიანდა ქართული არქივიც. ამიტომ იგი სასწრაფოდ გადაიტანეს ისევ ლევილში. დოკუმენტები გაშრეს, რის შემდეგ ჩაუტარეს სრული კატალოგიზაცია და კვლავ დაბრუნეს საფრანგეთის ეროვნულ არქივში. ამასთან ერთად არქივის მესვეურებმა მიმართეს ევროპისა და ამერიკის რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულებას თხოვნით დახმარებოდნენ. კარგა ხანს არავინ იკისრა ამ სამუშაოს შესრულება. ბოლოს, როგორც იქნა, შეთანხმდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ, კერძოდ — ჰარვარდის უნივერსიტეტთან. ამ უმაღლეს სასწავლებელთან ეროვნული მთავრობის საარქივო კომისიამ 1974 წელს დადო ხელშეკრულება — დაახლოებით ისეთი, როგორიც თავის დროზე საფრანგეთის ეროვნულ არქივთან. ამისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთა ბიუროს თავმჯდომარემ პაულე სარჯველაძემ და საარქივო კომისიის გამგემ მამია ბერიშვილმა სპეციალური მანდატით მიაგზავნეს ჰარვარდის უნივერსიტეტში საარქივო კომისიის წევრი ნოე ცინცაძე, რომელმაც იმავე წლის 8 დეკემბერს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთა ბიუროსა და საარქივო კომისიის გაერთიანებულ კრებაზე ვრაცელი ინფორმაცია გააკეთა ბოსტონში თავისი მივლინებისა და ქართული არქივის მდგომარეობის შესახებ.

1974 წლის დამდეგს არქივი გადასცეს ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. ასე მოხვდა იგი ქალაქ ბოსტონში. აქ ქართულ დოკუმენტებს ჩაუტარდათ სარესტავრაციო-პროფილაქტიკური სამუშაოები და ისინი, ფაქტობრივად, აღდგენილ იქნა.

არქივის მესვეურებმა შექმნეს საარქივო კომისიის ქვეკომისია, ე. წ. „ჰარვარდის კომისია“. მის შემადგენლობაში შევიდნენ მამია ბერიშვილი, ვიქტორ ხომერიკი, პროფესორი გიორგი ნაკაშიძე და კარლო ინასარიძე, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველები— გივი ზალდასტანიშვილი, გივი გაბლიანი და ისიდორე გაკონია. ამ უკანასკნელთ ეთხოვათ დამყარებინათ ურთიერთობა ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორთან და ეწარმოებინათ მასთან ყოველგვარი საქმიანობა ქართულ არქივთან დაკავშირებით.

არქივის დამუშავება და კატალოგიზაცია დაეკალა პროფესორ გიორგი ნაკაშიძეს, რომელმაც ეს სამუშაო დაამთავრა 1978 წლის მარტში და იქვე, ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, დაიწყო არქივის დოკუმენტების მიკროფილმირება.

ფირზე გადაიტანეს ყველა საბუთი. მიკროფილმები დამზადდა სამ ცალად. მათი უკეთ დაცვისა და რეალ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით (თუნდაც ერთი ეგზემპლარი რომ გადარჩენილიყო) მიკროფილმების დაცვა გადაწყდა სამ სხვადასხვა ქალაქში — პარიზში, ნანტერსა (საფრანგეთი) და ბოსტონში (აშშ).

ქართული დოკუმენტების დედნები, თანახმად დადებული ხელშეკრულებისა, ოცდაათი წლის განმავლობაში, ე. ი. 2004 წლამდე, დაცული იქნება ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (თუ მანამდე არ მოხდა რაიმე ცვლილება და ადრე არ გამოიტანეს), ხოლო შემდეგ გადმოეცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.

— რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მოხერხდა ჩვენი საზღვარგარეთელი თანამემამულეების რუდუნების შედეგად...

— დიახ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც მიუძღვთ ქართული არქივის გადარჩენასა და მოვლა-პატრონობაში საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, ქართულ სათვისტომოს, განსაკუთრებით საარქივო კომისიის წევრებს. მათ, როგორც ჩანს, არ დაუკლიათ ზრუნვა ქართული დოკუმენტებისათვის. უფრო მეტიც — ყველაფერი გააკეთეს, მიუხედავად რთული პირობებისა, რომ გადაერჩინათ და სამშობლოსათვის დაებრუნებინათ ეს საბუთები. საგანგებოდ მინდა მათგახსენოთ, რომ ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში დიდი წვლილი მიუძღვის, პირველ რიგში, კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ვიქტორ ხომერიკს — მიკროპირების გადმოცემა სწორედ მისი ინიციატივით მოხდა. ამჟამად, როგორც მოგეხსენებათ, ბ-ნი ვიქტორი თბილისში ბრძანდება. იგი სჩქართველის სისტორიო არქივსაც ეწვია, სადაც მოინახულა მის მიერ გამოგზავნილი მიკროპირები, გაეცნო იმ მუშაობას, რომელიც წარმოეს მათს დასაბუშავებლად, დასაცავად, გამოსაყენებლად, და ვფიქრობთ, ნანახით კმაყოფილი დარჩა. ესარგებლობ შემთხვევით და მინდა ქართველი საზოგადოებრიობის სახელით კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მოვახსენო ბ-ნ ვიქტორს და ყველას, ვინც ძალა და უნარი არ დაიშურა ქართული დოკუმენტების გადასარჩენად.

ქართული დოკუმენტების მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს აგრეთვე ამერიკელმა სპეციალისტებმა — ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ლაბორატორიის თანამშრომლებმა. მათ შეასრულეს დოკუმენტების სარესტავრაციო სამუშაო, ხოლო შემდეგ კვალიფიციურად დამუშავეს დოკუმენტები და შეადგინეს არქივის აღწერა.

— რას წარმოადგენს ამჟამად უკვე საქართველოში დაცული მასალები და რა მუშაობა მიმდინარეობს მათზე?

— ქართული დოკუმენტების მიკროპირები წარმოადგენს პოზიტიურ მასალას. იგი მოთავსებულია 205 მცირე ზომის მუყაოს ოთხკუთხედ კოლოფში. თითოეულ კოლოფში არის დაახლოებით 30 მეტრი ფირი. ვინაიდან მიკროპირები მივიღეთ ერთ ცალად და თან პოზიტივების სახით, ისინი ჩვენთვის, ფაქტობრივად, დედანს წარმოადგენენ. იმისათვის, რომ ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი გამხდარიყო მკვლევართათვის, საჭირო იყო მათი დუბლირგატივის, დუბლპოზიტივის, გამოყენებითი ფონდის დამზადება, აგრეთვე ამ დოკუმენტების დამუშავება ამ წესების მიხედვით, რაც არსებობს ჩვენს საარქივო საქმეში.

ჩვენ კარგად ვიცოდით, რაოდენ დიდი იყო ისტორიკოსთა (და არა მარტო ისტორიკოსთა) ინტერესი ამ დოკუმენტების მიმართ. ამიტომ, მიუხედავად დიდი დატვირთვისა, გადავწყვიტეთ დაუყოვნებლივ დაგვეწყო და გეგმის გარეშე შემჭიდროებულ ვადებში ჩაგვეტარებინა სამეცნიერო ბრუნვაში ფირების დროულად შესატანად საჭირო ყველა სამუშაოები. ამ მიზნით მთავარმა საარქივო სამმართველომ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც სასწრაფოდ გამოჰყო საჭირო თანხები, დიდძალი ნეგატიური და პოზიტიური ფოტოფირი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თხოვნით რესპუბლიკის სავაჭრო პალატაში ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა დოკუმენტი, რომელიც თან ახლავს მიკროფოტოპირებს — „ქართული არქივის . ორგანიზაცია“ და რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს მიკროფილმირებული საქმეების ნუსხას.

მთავარმა არქივმა აღნიშნული დოკუმენტი მიიღო ოქტომბრის დამდეგს და ბრძანებით

ORIGINALI BIBLIOTEKA

ცხვარ-მეცხვარის გასაჭირი

მოდიან „თეთრი ქარავნები“

უკანასკნელად ცხვრის ფარებმა დატოვეს ნოღაის ველი, ბარუზიაკისა და ბაჯიგანის ზამთრის საძოვრები, რომლებიც საქართველოს მომთაბარე მეცხვარეობის რაიონების მფლობელობაშია. თეთრი ქარავნები ახლა ჯერ 600 კილომეტრიან გზაზეა გაჭიმული, ზოგი კიდეც შემოვიდა შრომლიურ სანაზებში, ნაწილი დარიალის ვიწრო ხეობისთვის გამოგვადგება, ერთი ნაწილი ანდ მომძე „ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ჩრდილო ოსეთის ველებში.

ჩვენ სტანიცა ინჩოროსკაიაში შევჩერდით. ყიზლარის ზამთრის საძოვრების მომსახურების საწარმოო გაერთიანების თითქმის ყველა მუშაკი ახლა აქ არის. აქ ხდება ცხვრის საბოლოო სანიტარიული დამუშავება, სულადობის დათვლა, საგზაფხულო შატყლის ნაპარსის დაანგარიშება. ცხვარ-მეცხვარეც რამდენიმე დღით შეისვენებს და მერე გაუდგება შრომლიური მთების გზას.

დღლი მეცხვარეთა გამოცდაც არის და „თრგველიც“. ამიტომ პირველი შეკითხვა, რომლითაც საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარეს ჯეგალ კობაიძეს მივმართეთ, სწორედ დღლს შეეხებოდა.

— სამდურავი არ გვეთქმის, ყოველ ას ნერბზე მიღებულია 85 ბატკანი, ანუ საგეგმიზე ორით მეტი. ამ მაჩვენებლებს შევინარჩუნებთ. აქა-იქ კიდევ იბადებიან ბატკნები. თითო ცხვარზე კი გაკრეჭილია 1200 გრამი მატყლი, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 400 გრამით მეტი, ცხვარი არ გაგვწყდომია.

გაერთიანების მთავარმა ვეტექიმმა გრიგოლ არაბულმა კი თავის მხრივ დასძინა: შემოდგომით 500-ათასიანი ფარები წამოვასხეთ საქართველოდან, უკან კი 800 ათასზე მეტი მოგვყავს, შენარჩუნებულია 300 ათასზე მეტი ბატკანი, თანაც ბატკნები საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურებიან.

მთავარ სპეციალისტს გამოვკითხეთ, როგორ მიადწიეს უკეთეს მაჩვენებლებს სხვა წლებთან შედარებით. მან რამდენიმე პირობა დაგვისახელა:

— ცხვრის მთელი სულადობა მეცხვარეებს იჯარით ჰყავთ გაბარებული. ახლა შედეგები საბოლოო მაჩვენებლებით ფასდება და ასეთივე წესით ნაზღაურდება. მეცხვარე, როგორც იტყვიან, დღე-ღამეს ასწორებს, რომ ცხვარი გაამრავლოს, მსუქნადაც იყოლიოს და მეტი ბატკანი და მატყლი მიიღოს. წინათ ყველაფერი ერთ საერთო ქვაბში იყო ჩაყრილი. მეცხვარეს შოკრით ჰქონდა ხელფასი და აღარ აინტერესებდა, მეტ პროდუქციას მიიღებდა თუ ნაკლებს. საკვებწარმოებაშიც იჯარა მოქმედებს. ამ საქმეს კარგად გაართვა თავი გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ ანდრო ზაზუნაშვილმა, რომელიც თავად ჩაუდგა სათავეში მოიჯარეებს.

გაერთიანების მესვეურებმა წარმატების სხვა ფაქტორებიც დაგვისახელეს. საკვებწარმოებაც საწარმოო იჯარაზეა გადასული და ბარშან 30 ათას ტონაზე მეტი თივა დაამზადეს და მიბატანეს ცხვრის სადგომებთან. ზამთარში ცხვარს საკვები უხვად ჰქონდა, ამინდებმაც გაამართლა. ერთი დღეც არ გვქონია ისეთი, ცხვარი საძოვარზე არ გაგვეერეკა. თავის მესამედი დაუხარჯავი დაგვრჩა. მომავალი წლისათვის გამოგვადგება. რესპუბლიკის პუროპროდუქტების სამინისტროც არ გვაკლებს მზრუნველობას — 12500 ტონა კომბინირებული საკვები მოგვაწოდეს, რაც სავსებით საკმარისია ჩვენთვის. კარგი იყო საკვების ხარისხიც, კარგ მომსახურებას მეცხვარეთა ენთუზიაზმიც და შემართებაც მიემატა და მიღწეულია საუკეთესო შედეგები, — თქვა გაერთიანების პარტკომის მდივანმა სოსო აბაშიძემ.

ყველაზე ხანგრძლივად მაინც ჩვენთვის უკვე ნაცნობ გრიგოლ არაბულს ვესაუბრეთ. ამ კაცმა, რომელიც რამდენიმე ათეული წელია სამშობლოდან დაცილებით მოღვაწეობს, ზედმიწევნით ზუსტად იცის აქაურობა, იცის რომელ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას როგორ მიუდის საქმე. სახე ებადრება, როცა მოწონაგეებზე ლაპარაკობს, მაგრამ სინანდო ოჯარაზე გადასვლის შემდეგ მისი ხელფასი სამმაგად გაიზარდა. ეს სრულიად საკმარისია, რომ ოჯახი შეძლებულად აცხოვროს და ქვეყანასაც მეტი არგოს.

— დუშეთის რაიონის ფასანაურის კოლმეურნეობამ ყოველ ას ნერბზე 90 ბატკანი მიიღო, — ამბობს გ. არაბული, — საგეგმოზე შვიდით მეტი, ჰოპორტის საბჭოთა მეურნეობამ ეს ციფრიც ჩამოიტოვა უკან და 95 ბატკანი მიიღო, რეკორდი მაინც დუშეთის საკვებმოოვების საწარმოო გაერთიანებას ეკუთვნის — ას ნერბზე ასი ბატკანი, — ასეთია მისი მაჩვენებელი. თუ გაზეთში წერილის გამოქვეყნებას აპირებთ, გუდამაყრის კოლმეურნეობა არ გამოტოვოთ — გიგანტია მეცხვარეობაში. წელს ფარეს 12 ათასამდე ბატკანი შემატეს. ახლა 40-ათასიანი ფარები მიემართებიან გუდამაყრის ხეობისკენ.

მოწონავეთა შორის დაგვისახელეს ოგრეთვე ლენინგორის რაიონის ბალაანის, უკანამხარის, ლარგვისის, დადიანეთის, ყაზბეგის რაიონის სნოს და გორისციხის კოლმეურნეობები. აღნიშნეს, რომ დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაზარდეს ცხვრის საერთო სულადობა. ამას ვერ იტყვი ჯავის რაიონზე, სადაც ბოლო ორი წელია ყოველწლიურად საშუალოდ 1000-ით ამცირებენ ცხვრის საერთო სულადობას. არც თიანეთის რაიონს აქვს საამაყო მაჩვენებლები. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ტუშურების საბჭოთა მეურნეობას მხოლოდ 2 ათასამდე სული ცხვარი ჰყავს, სიმონიანთხევისას — 2500-მდე. ვერც ერწოსა და ორხევის საბჭოთა მეურნეობები დაიკვეხნიან. ცხვრის ასეთი მცირე რაოდენობით მოვლა და შენახვა, საერთოდ, ძვირად უჯდებათ მეურნეობებს და დიდ რენტაბელობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ერთ დროს თიანეთის რაიონში სწორად მოიქცნენ, რომ შექმნეს სამეურნეობათაშორისო მეცხვარეობის გაერთიანება, მაგრამ ვინაც მისი ხელმძღვანელობა დაეკალა, სუსტი ორგანიზატორი აღმოჩნდა, საქმეს თავი ვერ მოაბა და იგი კი არ შეცვალეს უნარიანი ხელმძღვანელით, არამედ გაერთიანება დაშალეს. ეს საქმისადმი გონივრული მიდგომა როდი.

ცხვრის გადარეკვა-გადმორეკვა ზამთრის საძოვრებიდან ძირითადად ქვეითად ხდება, მხოლოდ მცირეოდენი ცხვარი გადაჰყავს ჯავის რაიონს მატყრნელით. მამაცი მეცხვარეები აქეთ-იქით თითქმის ორ თვეს მიაბიჯებენ. მათი შრომა ნამდვილი გმირობაა. ყინვა და წვიმა, ქარ-ხორშაკი და სიცხე, რას არ იტანენ?! ამჟამადაც ჯერ ისევ თოვლია უღელტეხილზე. ცხვარს ბალახი არ აქვს და თივით კვებავენ.

გამოჯვებულთა შორის ამაყად მიემართება მლეთის კოლმეურნეობის (დუშეთის რაიონი) ნაზღაიძეების ბრიგადა, რომელსაც ყველაზე უფროსი თენგიზ ნაზღაიძე უდგას სათავეში. ტრასაზეა ფასანაურის კოლმეურნეობის სარქაული რეზო ამირიძე. იგი უმაღლესი განათლებითაა, ხანდოს სამუალო სკოლაში ასწავლიდა ‘მშობლიურ ენას და ლიტერატურას. ასპირანტურაშიც იწვევდნენ ნიჭიერ ახალგაზრდას, მაგრამ მამა-პაპების ტრადიციას ვერ უღალატა და მწყემსის კომბალი აიღო ხელში. ამჟამად მისი ფარები ერთ-ერთი საუკეთესოა. თავადაც ბედს არ უჩივის, პირიქით კმაყოფილია, სანარდო ოჯარაზე გადასვლის შემდეგ მისი ხელფასი სამმაგად გაიზარდა. ეს სრულიად საკმარისია, რომ ოჯახი შეძლებულად აცხოვროს და ქვეყანასაც მეტი არგოს.

ყველაზე მეტი შთაბეჭდილება მაინც პატარა კახა რუსიტაშვილმა დატოვა. კახა ლენინგორის რაიონის ლარგვისის საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეა. მამას, მოწონავე სარქაულ გურამ რუსიტაშვილს გამოდგომია მოსახმარებლად, მაგრამ ისეთი ჩაუქი აღმოჩნდა, სხვა მეცხვარეებიც შეასვენა, ფარებს მოხერხებულად მოერეკება, ფეიზლობს, ვინმე მზაკვარმა რაიმე ზარალი არ მიაყენოს, ცხვარი არ მოპაროს ან მოუკლას.

უპატიოსნო ადამიანები, ხამწუხაროდ, ცოტანი არ ზვდებიან გზაში. ერთი თვალი რომ აგცდეს, მოხერხებულად შეითრევენ ცხვარს ავტომანქანაში. ბევრ ზოგიერთ მონაკვეთში ორმოებსაც თხრიან, ზევიდან მიწის თხელ ფენას წააფარებენ, ცხვარი შიგ ვარდება და რჩება. ახლა ამ ეშმაკობას ადვილად იგებენ მეცხვარეები, მაგრამ ქურდების შეიარაღებული პატარა კახა რუსიტაშვილმა დატოვა. კახა ლენინგორის რაიონის ლარგვისის საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეა. მამას, მოწონავე სარქაულ გურამ რუსიტაშვილს გამოდგომია მოსახმარებლად, მაგრამ ისეთი ჩაუქი აღმოჩნდა, სხვა მეცხვარეებიც შეასვენა, ფარებს მოხერხებულად მოერეკება, ფეიზლობს, ვინმე მზაკვარმა რაიმე ზარალი არ მიაყენოს, ცხვარი არ მოპაროს ან მოუკლას.

ეს ბიჭი ერთ-ერთ ასეთ კონცერტზე მიგვიწვიეს. თერგის პირას ქართველ მეცხვარეთა წინაშე გამოდიოდნენ რესპუბლიკის უსინათლოთა საზოგადოების ფოლკლორული ансამბლი ლეილა ასლანიძის ხელმძღვანელობით. მიდამოს ქურდბაცაცასთვის ხშირად ჩაუვლიათ ხელი და „ნადავლი“ გაუგდებინებიათ ოცეულის მეთაურს მურმან ტყეშელაძეს, მილიციელებს შოთა გურგენიძეს, მერაბ ბოხაშვილს, თენგიზ ნოხაძეს, დავით აბუსერიძეს, ანატოლი შირინკინს, ანატოლი გოროდინსკის და სხვებს. მწყემსების მისაშველებლად ტრასაზე მილიციის მუშაკები გაგზავნეს დუშეთისა და ყაზბეგის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებმა.

მწყემსებს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროც არ ტოვებს უყურადღებოდ და ხშირად გზავნის თვითშემოქმედებით კოლექტივებს. სტანიცა ინჩოროსკაიაში ერთ-ერთ ასეთ კონცერტზე მიგვიწვიეს. თერგის პირას ქართველ მეცხვარეთა წინაშე გამოდიოდნენ რესპუბლიკის უსინათლოთა საზოგადოების ფოლკლორული ансამბლი ლეილა ასლანიძის ხელმძღვანელობით. მიდამოს ბიჭობაზეა. ახლა ამ ეშმაკობას ადვილად იგებენ ეს ბიჭებიც. ბევრ ადგილზე ფარებს ბოროტებენ, ბევრ ადგილზე ცხვარს ავტომანქანაში ტვირთავენ. ეს ბიჭებიც ბევრ ადგილზე ფარებს ბოროტებენ, ბევრ ადგილზე ცხვარს ავტომანქანაში ტვირთავენ. ეს ბიჭებიც ბევრ ადგილზე ფარებს ბოროტებენ, ბევრ ადგილზე ცხვარს ავტომანქანაში ტვირთავენ.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს

30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარ რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების დამატებითი შესწავლის კომისიაში

ა. ნ. იაკოვლევის თავმჯდომარეობით გამართულ კომისიის სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის პროკურატურისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ცნობა ეგრეთ წოდებული „სულთან-გალიევის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის“ საქმის და სამართლის ორგანოებში ამ საქმეზე ნაწარმოებ ბრალდებულთა ერთ-ერთ ასეთ ბედზე. ეს საქმე, რომელიც წარმოიშვა „ნაციონალ-უკლონიზმის“ წინააღმდეგ ხელოვნურად გაღვივებული ბრძოლის ტალღაზე, ფალსიფიცირებული იყო გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების მიერ 1928 წელს. სახალხო კომისარიატის ეროვნებათა საქმეების კოლეგიის წევრს მ. ხ. სულთან-გალიევსა და 76 სხვა საბჭოთა, სამეურნეო და მეცნიერ მუშაკს, მუშას, გლეხს, შინამრეწველს, სტუდენტს დაედოთ ცრუ ბრალი იმაში, რომ იყვნენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილენი, რომელიც თავის ამოცანად ისახავდა ქვეყანაში ტერორისა და შეიარაღებული აჯანყების მოწყობას. როგორც შესწავლამ ცხადყო, ასეთი ორგანიზაცია სინამდვილეში არ არსებობდა.

მიუხედავად ამისა, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის 1930 და 1931 წლებში მიღებული დადგენილებებით მოქალაქეებს, რომლებიც ამ საქმეში გადიოდნენ, მიესაჯათ სხვადასხვა ვადის თავისუფლების აღკვეთა და გასახლება. მოგვიანებით მრავალ მათგანს არსებითად იმავე მოტივებით შეუფარდეს სასჯელის უფრო მკაცრი ზომები, ხოლო ზოგიერთი, მათ შორის მ. ხ. სულთან-გალიევი, დახვრიტეს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს დადგენილებანი ამ საქმის გამო გაუქმებულია, ხოლო მისი მონაწილენი ს. ი. აბდურახმანოვი, ა. ი. აგეევი, ფ. ი. აგეევი, ა. კ. ადიგამოვი, ო. ხ. აკბულატოვი, ა. ა. აკკიტოვი, ფ. ა. აკკიტოვი, ა. კ. ალბეტკოვი, ი. ხ. ასანოვიჩი, გ. მ. ატლასოვი, ბ. ი. ბადაშინი, ს. ა. ბაკოევი, ხ. ს. ბალბეკოვი, ა. ხ. ბერკუტოვი, ა. ი. ბიკბაოვი, გ. ა. ბიკანინოვი, მ. ზ. ბიკულოვი, მ. ი. ბრუნდკოვი, ა. მ. ენბაევი, ნ. შ. ენიკეევი, ზ. ვ. ვალიევი, ი. ზ. ვილდან-ბეკი (იშმუხამედოვი), ი. ხ. ინგილდიევი (ინგულდიევი), ხ. მ. ისხაკოვი, ფ. ი. იულამანოვი, ხ. ს. იაგაფაროვი (იაგოფაროვი, ჯაგაფაროვი), ა. გ. იაგუდინი, მ. გ. კურამშინი, ი. ფ. მაქსუტოვი, მ. მ. მამედოვი, გ. გ. მანსუროვი, ხ. ა. მოსკოვი, გ. ს. მულაბაევი, ა. ა. მუსინი, კ. მუხამეჯანოვი, კ. გ. მუხტაროვი, გ. გ. ნურბახტინი, მ. ს. სალიმოვი, ხ. კ. ტაგიროვი, ი. ხ. ტერეგულოვი, ხ. ზ. ტლიბერდინი, უ. ხ. ტიუმენეევი, ა. ი. ურმანჩე, ბ. ი. ურმანჩე, ი. კ. ფირდეესი, ვ. შამსეტდინოვი, ა. დ. შარაფუტდინოვი (შარაფი), ი. ს. შახმამეტიევი, ხ. შ. შირინი და ი. ს. ხანტიმერი რეაბილიტირებული არიან.

სხვადასხვა დროს სასამართლო წესით რეაბილიტირებული იყვნენ უ. ი. ბაბიკოვი, ა. ა. ბაშიროვი, მ. კ. ბუდეილი, ზ. ხ. ბულუშევი, აბდუმარახმან ხ. ბურნაშევი, არიფ ხ. ბურნაშევი, გ. გ. გალეევი, ო. გ. დერენ-აიერლი, ზ. ხ. ერზნი, ვ. ი. ისხაკოვი, გ. მ. მულიუკოვი ს. გ. მურზაბულატოვი, რ. ა. საბიროვი, გ. კ. სალიმიანოვი, ს. ხ. სიუნჩელეი, ზ. ი. ტანკაჩეევი, ს. ი. უმეროვი და ი. ფ. ფაზულინი.

სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა გაიქმა უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1939 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება ს. ხ. სულთან-გალიევისათვის სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდების შესახებ და მისი საქმე შეწყვიტა დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო. სსრ კავშირის პროკურატურისა და სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს ინფორმაციები კომისიამ ცნობად მიიღო.

შემდეგ კომისიამ მოისმინა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის ინფორმაცია იმ პირთა პარტიულობის შესახებ, რომლებიც გადიოდნენ ეგრეთ წოდებული „სულთან-გალიევის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის“ საქმეში და უსაფუძვლოდ გაირიცხნენ პარტიიდან. სკკპ რიგებში აღდგენილი არიან გ. გ. გალეევი, ა. მ. ენბაევი, მ. გ. კურამშინი, გ. გ. მანსუროვი, მ. გ. მუხტაროვი, გ. კ. სალიმიანოვი, მ. ხ. სულთან-გალიევი, ს. ი. უმეროვი. წინათ პარტიული თვალსაზრისით რეაბილიტირებული იყვნენ მ. კ. ბუდეილი, ზ. ხ. ბულუშევი, მ. ი. ბრუნდუკოვი, ო. გ. დერენ-აიერლი, ვ. ი. ისხაკოვი, მ. მ. კურმეევი და რ. ა. საბიროვი.

ა. კ. ადიგამოვის, უ. ი. ბაბიკოვის, ხ. ა. მოსკოვის, გ. ს. მულაბაევის, გ. მ. მულიუკოვის, ს. გ. მურზაბულატოვის, ს. ხ. სიუნჩელეის, ა. ი. ურმანჩისა და ი. კ. ფირდეესის პარტიულობის საკითხი განიხილება სკკპ თათრეთისა და ბაშკირეთის საოლქო კომიტეტებში.

პარტიული თვალსაზრისით ნაპოვნი არ არის ხ. ს. ბალბეკოვის რეაბილიტაციის საფუძველი, რომელიც პარტიიდან გარიცხეს ამ საქმის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე და მოტივებით, რომლებიც დაკავშირებული არ არის პოლიტიკურ ბრალდებებთან.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის ინფორმაცია ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში იმათ პარტიულ რეაბილიტაციასთან დაკავშირებული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, რომლებსაც 20-30-იან წლებში უყენებდნენ ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის“ უსაფუძვლო პოლიტიკურ ბრალდებებს. ამ ნიადაგზე ხელოვნურად იქმნებოდა ფალსიფიცირებული საქმეები, იდევნებოდნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკების, ეროვნული ინტელიგენციის კადრები. ამჟამად ადგილობრივი პარტიული ორგანოები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, რომლებიც ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმის დავალებას, იკვლევენ ეგრეთ წოდებულ „ნაციონალ-უკლონიზმთან“ დაკავშირებულ მასალებს. კომისიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს სამუშაო უნდა დამთავრდეს უმოკლეს ვადებში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტმა კომისიას გააცნო იმ კომუნისტთა საქმეების განხილვის შედეგები, რომლებიც გადიოდნენ სისხლის სამართლის წესით დანაშაულჯულ და შეწყვეტილ „პარალელური ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის“, „საკავშირო ტროცკისტული ცენტრისა“ და „ეისმონტის, ტოლმაჩევისა და სხვათა ანტიპარტიული კონტრრევოლუციური დაჯგუფების“, „ტ. ვ. საპრონოვისა და ვ. მ. სმირნოვის კონტრრევოლუციური დეცისტური ორგანიზაციისა“ და „ი. ნ. სმირნოვის, ვ. ა. ტერ-ვაგანიანის, ე. ა. პრეობრაჟენსკისა და სხვათა“ ფალსიფიცირებულ საქმეებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში აღდგენილი არიან „პარალელური ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის“ პროცესში გამავალი ვ. ვ. არნოლდი (ვასილიევი), ნ. ნ. დრობნისი, ი. ა. ლივშიცი, ნ. ი. მურალოვი, ი. ლ. (გ.) პიატაკოვი, კ. ბ. რადეკი (სობელსონი), ს. ა. რატაიჩკი, გ. ი. სოკოლნიკოვი (ბრილიანტი) და ა. ა. შელტოვი, რომელთა წინააღმდეგ პოლიტიკური ბრალდებანი უსაფუძვლოდ ცნეს. წინათ პარტიაში აღდგენილი იყვნენ მ. ს. ბოგუსლავსკი, ი. ი. გრაშე, ი. ა. კნიაზევი, ი. ნ. ნორკინი, გ. ე. პუშნინი, ლ. პ. სერებრიაკოვი და ი. დ. ტუროკი.

პარტიული ხაზით რეაბილიტირებული არიან აგრეთვე „საკავშირო ტროცკისტული ცენტრის“ პროცესის მონაწილენი ი. ა. აზაგაროვი (ს. ე. გრინბლატი), ა. ა. გოფლინი, გ. ბ. ძვინიანოვიჩი, მ. ე. დიუმინი, ლ. ა. ვოლფსონი, ა (ალექსანდრე). პ. კაწლასი, ა (ალბერტ). პ. კაწლასი, ნ. ა. კოტეევიკოვი, ს. ვ. კუზნეცოვი, ა. ე. მიხაილოვი, ი. ს. პარხომოვი, ნ. ა. სტასი, ა. ნ. ფაინბერგი, ს. ტ. ფონასოვი, ვ. პ. შაგოვი და ლ. ი. ხეიფეცი. წინათ პარტიაში აღდგენილი იყვნენ ლ. დ. მიროტაძე და გ. დ. უგრიუმოვი.

ი. ვ. ვეტჩინკოვისა და ი. პ. კლიუჩნიკოვის საქმეთა გამო გამოძიებამ ცხადყო, რომ ისინი პარტიიდან გარიცხულნი იყვნენ იმ მიზეზებით, რომლებსაც დამოკიდებულება არ ჰქონიათ მათდამი მოგვიანებით წაყენებულ უსაფუძვლო პოლიტიკურ ბრალდებებთან.

პარტიაში ვ. ფ. პოპონინი, რომელიც გადიოდა „ეისმონტის, ტოლმაჩევისა და სხვათა ანტიპარტიული კონტრრევოლუციური დაჯგუფების“ საქმეში. ნ. ბ. ეისმონტი და ვ. ნ. ტოლმაჩევი აღდგენილი იყვნენ პარტიაში წინათ. პარტიული თვალსაზრისით რეაბილიტირებულია ტ. ვ. საპრონოვი, რომელიც უსაფუძვლოდ იყო რეპრესირებული ეგრეთ წოდებული „ტ. ვ. საპრონოვისა და ვ. მ. სმირნოვის კონტრრევოლუციური დეცისტური ორგანიზაციის“ საქმის გამო. ამ საქმის მონაწილე ვ. მ. სმირნოვი რამდენადმე უფრო ადრე იყო აღდგენილი პარტიაში.

ზ. გ. არშავსკი, ვ. ხ. აუსემი, ი. პ. ბელეგიჩი, მ. ა. ბელიაევი, ნ. მ. ბლისკავიცი, ლ. ი. ბრონშტეინი, დ. ს. გაევსკი, ლ. გ. გინზბურგი, ვ. ვ. ბ. გლან-გლობუსი, მ. გ. გოლოდეცი, მ. ლ. გრინნინკო, მ. პ. დმიტრიევი, ე. ბ. დოვჟიკ-ბროვერი, ს. ს. ეპიხინი, მ. პ. ვასილიევი, პ. ი. ვენცსკუსი, მ. გ. ზელეკერ-როგაჩინა, ბ. ნ. ივანოვი, ვ. ვ. ივაშკინი, ა. ლ. იაინიკოვი, ვ. კ. იაკეკი, ჩ. მ. კოლოვსკი, ა. ა. კონსტანტინოვი, მ. ი. კრასავინი, მ. კ. კუზმინი, მ. ს. ლავუტი, გ. ნ. ლევიტანი, ვ. ვ. ლეტუნოვი, ბ. ს. ლევშიცი, ს. მ. ლიპენზონი, ვ. ა. ლიტვინოვი, ი. ი. ლომჩენოვი, ა. ს. ლიუბიჩი, ი. ა. მალეევი, ნ. ი. მეკლერი, ი. მ. მირიმოვიჩი, ტ. ი. მიაგკოვა, ა. ა. ნევეინსკი, გ. ო. ოფინეკი, ნ. ს. ოკუჯავა, ი. ო. ოხოტნიკოვი, ნ. ა. პალატნიკოვი, პ. ვ. პერეფერზეევი, ვ. მ. პოლიაკოვი, ე. ა. პრეობრაჟენსკი, ნ. ვ. რაბინსონი, ი. ს. რადინი (ზინგერმანი), რ. ბ. რაფაილი (ფარბმანი), ლ. ი. სადოვსკი, ა. ნ. საფონოვი, რ. ნ. სახნოვსკი, ნ. ე. (ა). სიმბირსკი, მ. რ. სორკინა, ფ. დ. სტოლოვა, ო. მ. ტანხილევიჩი, მ. ი. ტოლმაჩევა, ნ. ი. უფიმცევი, ნ. ნ. ფიშმანი, ა. მ. შაბოინი, ლ. ნ. შრეიბერი და ა. დ. ჩაგოვსკი, რომლებიც გადიოდნენ „ი. ნ. სმირნოვის, ტ. ვ. საპრონოვისა და ვ. მ. სმირნოვის კონტრრევოლუციური ტროცკისტული ჯგუფის“ საქმეში, რეაბილიტირებული არიან პარტიული თვალსაზრისით.

უწინ პარტიაში აღდგენილი იყვნენ ამ „საქმის“ მონაწილენი ბ. მ. ზალბერშტეინი, მ. ს. იუგოვი, ი. ნ. სმირნოვი და ვ. ა. ტერ-ვაგანიანი.

პარტიული ხაზით რეაბილიტირებული არ არიან ი. ი. ალტაევიძენი და დ. ვ. ვერეტლოვსკი, რადგანაც ისინი პარტიიდან გარიცხული იყვნენ არა პოლიტიკური ბრალდებებით, არამედ როგორც პირნი, რომლებმაც ჩაიდინეს პარტიულ ეთიკასთან შეუთავსებელი საქციელი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის ინფორმაცია ცნობად არის მიღებული.

კომისიის სხდომაზე განიხილეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს 1937-1939 წლებში ეგრეთ წოდებული „1928 წლის შიდასაარმიო ოპოზიციის“ საქმის გამო არმიის მრავალი პოლიტმუშაკის პარტიულ და სასამართლო პასუხისგებაში უკანონო მიცემასთან დაკავშირებით.

ამ საქმის ყველა გარემოების დამატებითი შესწავლით დადგენილია, რომ ასეთი ოპოზიცია სინამდვილეში არ არსებობდა. კომუნისტთა საქმიანობა, რომელსაც ბრალად სდებდნენ ამ „ოპოზიციაში“ მონაწილეობას, არ ატარებდა ანტიპარტიულ ხასიათს და არ ეწინააღმდეგებოდა პარტიული და სამხედრო მშენებლობის საკითხებში პრინციპულ დებულებებს. მისი მონაწილეებისადმი წაყენებული ყველა ბრალდება უნიადაგო იყო, ხოლო პარტიულ და სასამართლო პასუხისგებაში მათი მიცემა უსაფუძვლოა.

მთავარ სამხედრო პროკურატურასა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს პარტიულ კომისიას რეკომენდაცია მიეცათ უახლოეს დროში განიხილონ იმ პირთა სასამართლო და პარტიული წესით რეაბილიტაციის მასალები, რომლებიც გადიოდნენ ამ საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვ. ა. კრიუჩკოვი და სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭოს წევრი ვ. ი. ბოლდინი.

კომისია განაგრძობს მუშაობას.

უკსოფოში

საკრესი იუწყება
1 ივნისი

აშშ წინააღმდეგია

ნიუ-იორკი. **შეერთებული შტატები წინააღუდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს კომისიის შექმნას, რომელსაც პალესტინის ტერიტორიაზე შექმნილი მდგომარეობა უნდა შეესწავლა.** თათბირის მსვლელობისას აშშ-ის წარმომადგენელმა ვეტო დაადო უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტს, რომელიც მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფმა შეიტანა. საბჭოს დანარჩენმა 14 წევრმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას.

დოკუმენტის პროექტში ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭო, „ქმნის კომისიას საბჭოს სამი წევრის შემადგენლობით, რომელიც დაუყოვნებლივ გაემგზავრება ისრაელის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული სიტუაციის შესასწავლად მის მიერ 1967 წელს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იერუსალიმის ჩათვლით“. კომისიას ეკალთოდა, 20 ივნისამდე უშიშროების საბჭოში წარმოედგინა მოხსენება ისრაელის ოკუპაციის პირობებში მყოფი პალესტინის სამოქალაქო პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაცვის გზებისა და საშუალებების შესახებ.

რეზოლუციის პროექტში ნათქვამი იყო, რომ საბჭო შეშფოთებულია პალესტინის ტერიტორიაზე მდგომარეობის გაუარესებით და ადასტურებს ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ჟენევის კონვენციის გამოყენების შესაძლებლობას პალესტინისა და სხვა არაბული ტერიტორიების მიმართ, იერუსალიმის ჩათვლით, რომლებიც ისრაელმა 1967 წელს დაიპყრო.

საბჭოს ზოგიერთმა წევრმა გამოხატა იმედგაცრუება თათბირის ამგვარი შედეგების გამო. უშიშროების საბჭოს ალილი, სულ ცოტა გამოარკვიოს, რატომ იღუპება ხალხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გადაწყვიტოს, თუ რა ზომებს მიმართოს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მიზნით, განაცხადა სსრკ მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. მ. ვოროსცოვმა. ამიტომ სრულიად გაუგებარია, რატომ შეუშალეს უშიშროების საბჭოს ხელი, საკუთარი კომისიის დანიშვნებით შეესწავლა ადგილზე შექმნილი მდგომარეობა. დარწმუნებული ვართ, გაეროს მოუხდეს ყურადღება დაუთმოს ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის საკითხებს. თუ დღეს ეს არ მოხერხდა, ხვალ მაინც მოგვიხდება ამ უბნიშვნელოვანესი პრობლემის განხილვა, ხაზი გაუსვა საბჭოთა დიპლომატმა.

„ტაიმსის“ პოზიცია

ლონდონი. **აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში სწრაფი გარდაქმნების შედეგად გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ გადაიხედოს ექსპორტიორთა ქონტროლის საკოორდინაციო კომიტეტის პოლიტიკა, წერს ლონდონის „ტაიმსი“.** ორგანიზაციის აღმასკომის სხდომას, რომელიც პარიზში გაიმართება ივნისის დასასრულს, გაზეთის აზრით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თვალსაზრისით, რადგან მასზე მიღებული გადაწყვეტილებები დიდად განსაზღვრავს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და საბჭოთა კავშირში ტექნოლოგიების ექსპორტის პირობებს.

თუმცა შეერთებული შტატების მიერ წამოყენებული წინადადებანი გულისხმობენ არსებული შეზღუდვების მნიშვნელოვან შესუსტებას, საეჭვოა, რომ პარიზის შეხვედრა სრული თანხმობის ვითარებაში გაიმართოს, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორები, რომლებისთვისაც აღმოსავლეთთან ვაჭრობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, აუცილებლად მოითხოვენ ვაშინგტონისაგან მის უფრო არსებით ლიბერალიზაციას, მიაჩ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის

20 მაისს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის მორიგი სხდომა.

კომისიამ განიხილა და ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის ბუნების დაცვის კანონის პროექტი. კანონპროექტის ძირითადი მიზანი ის არის, რომ დაიცვას ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე, რაციონალურად გამოიყენოს იგი, უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოება, აღკვეთოს ბუნებაზე სამეურნეო ან სხვა საქმიანობის მავნე ზემოქმედება, გაჯანსაღოს და გააუმჯობესოს გარემოს მდგომარეობა, განამტკიცოს ამ სფეროში კანონიერება და საზოგადოებრივი ურთიერთობის მართწესერიგი, დაამკვიდროს მოქალაქეთა ცხოვრებისათვის სასიკეთო გარემოს უფლება. ამჟამად მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით კანონის პროექტი აფართოებს ბუნების დასაცავი ობიექტების წრეს, მიაკუთვნებს მას მიწასთან, მის წიაღთან, ნიადაგთან, წყლებთან, ატმოსფერულ ჰაერთან, ტყეებთან და ცხოველთა სამყაროსთან ერთად აგრეთვე მცენარეულ სამყაროს მისი მთელი სახეობრივი მრავალფეროვნებით, ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემებისა და ბიოსფეროს სხვა კომპონენტებს, ჰავას, დედამიწის ოზონის ფენას. ფორმულირებულია ცნებები „საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციის ზონა“, „ეკოლოგიური უბედურების ზონა“ და სხვ.

კანონის პროექტში განსაზღვრული და გამიჯნულია სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, რაიონების, ქალაქების კომპეტენცია გარემოს დაცვისათვის ურთიერთობის რეგულირების სფეროში.

მას შემდეგ, რაც დაიხვეწება კანონის პროექტი და სრულად შეესაბამება ბოლო დროს მიღებულ საკანონმდებლო აქტებს, იგი შეტანილი იქნება სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 3 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლის წესით განიხილეს ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენების უტილიზაციის, გაუვნებლებისა და ჩამარხვის საკითხი. აღინიშნა, რომ სამრეწველო საწარმოებში ტოქსიკური ნარჩენების დაგროვება, ქალაქის სანაგვეზე, ხევებში, კარიერებში მათი გატანა, მიწის წიაღში თვითნებური ჩამარხვა ხშირად იწვევს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, მიწის, ატმოსფეროული ჰაერის გაჭუჭყიანებას. მაგალითად, უსტ-კამენოგორსკის ტყვიათუთიის კომბინატში, რუბეცოოს საწარმოო გაერთიანება „კრასიტელში“, ლისიჩანსკის სოდის ქარხანაში ტოქსიკური ნარჩენების დაგროვებას მოჰყვა მიწისქვეშა წყლების ისეთი კონცენტრაციით გაჭუჭყიანება, რომელიც რამდენჯერმე აღემატება დაშვებულს. გორლოვკის ქიმიურ ქარხანაში სამრეწველო ნარჩენის უსანქციო დაგროვებამ გამოიწვია „ალექსანდრაპადის“ შახტში მავნე ქიმიური ნივთიერებების შელწევა, რაც გახდა 1989 წლის დეკემბერში მეშახტეებისა და სამთო მაშველთა მოწამვლის მიზეზი. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს გარემოს პესტიციდებით გაჭუჭყიანება. მაგრამ პრობლემის სიმწვავის მიუხედავად სსრ კავშირის მეტალურგიის სამინისტრომ, სსრ კავშირის ქიმიური და სანავთობო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, „აგროქიმიამ“, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა საწარმოებშიც წარმოიქმნება ტოქსიკური ნარჩენები, მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებმა ფაქტობრივად თავი ანებეს ამ პრობლემაზე მუშაობას, რის გამოც დადგენილებით დაწესებული ბევრი დავალება არ შესრულებულა. დადგენილების მიღებიდან განვლილი ექვსი წლის განმავლობაში არ აშენებულა არც ერთი რეგიონული საუწყებათშორისო პოლიგონი ტოქსიკური ნარჩენების გაუვნებლებისა და დამარხვისათვის. დღემდე არ შეშფოთებულა მეტი წილი ტოქსიკური ნაერთების უტილიზაციის, გაუვნებლებისა და ჩამარხვის ტექნოლოგია, არ ხორციელდება ღონისძიებანი, რათა შეიქმნას ამისათვის საჭირო მოწყობილობა, ხელსაწყოები, სხვა ტექნიკური საშუალებანი.

კომისიამ დაავალა სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიმდინარე წელს მოაწყონ ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენების ერთიანური ინვენტარიზაცია, და მის საფუძველზე განახორციელონ შექმნილი ვითარების გაუმჯობესებისათვის გამიზნული ღონისძიებანი, კერძოდ, აგრო- ეკონომიკურად და ეკოლოგიურად ეფექტიანი რეგიონული პოლიგონური მეურნეობების ქსელი. კომისიას საჭიროდ მიაჩნია განხორციელდეს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში იმის თაობაზე, რომ პროექტების მიხედვით აშენებული პოლიგონები, რომლებმაც გაიარეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, წარმოადგენენ ბუნების დამცავ ნაგებობებს და მათი განლაგება და ექსპლოატაცია გათვალისწინებულია იმ ინტინრული გადაწყვეტების საფუძველზე, რომლებიც გამორიცხავენ გარემოს გაჭუჭყიანებას.

მიღებულია გადაწყვეტილება ამ საკითხის განხილვას დაუბრუნდნენ 1991 წლის პირველ კვარტალში. სსრ კავშირის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის ატომურ ენერგეტიკაში მუშაობის წარმოებისადმი ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს დაევალათ გაძლიერონ კონტროლი ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვისას ბუნებისდამცავი კანონების შესრულებისადმი და იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება გარემოზე მათი განსაკუთრებით სახიფათო ზემოქმედების შემთხვევები, რაც გამოწვეული იქნება მოქმედი ნორმებისა და წესების უხეში დარღვევებით, შესაბამისი მასალები წარუდგინონ სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოებს.

განიხილეს საკითხი იმის თაობაზე, რომ სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებულ მანქანათმშენებლობის პროდუქციას ჩაუტარდეს ექსპერტიზა, თუ რამდენად შეესაბამება იგი გარემოს დაცვის ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

კომისიის სხდომას უძღვებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხ. დოგუჟიევი.

ავარია საბაგირო გზაზე

1990 წლის 1 ივნისს თბილისში რუსთაველის მოედან-მთაწმინდის საბაგირო გზაზე ავარია მოხდა. არის მსხვერპლი.

როგორც საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ი. ა. შენაღარიშვილმა გვაცნობა, დაიღუპა 18 კაცი. თბილისის საავადმყოფოებსა და კლინიკებში მიყვანილ 47-თაგან გარდაიცვალა კიდევ ორი. მძიმე კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი შესაბამის დახმარებას უწევს დაშავებულებს და დაჭრილებს.

შემთხვევის ადგილზე და საავადმყოფოებში, სადაც დაიწვნინეს დაშავებულნი, იყვნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ავარიის მიზეზების გამოსარკვევად შექმნა კომისია, რომელსაც თავჯდომარეობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. დ. მახარაშვილი. (საქინფორმი).



საქინფორმის ფოტო.

ტელედებატების თაობაზე...

ბატონ ზვიად გამსახურდიას ხელმოწერით და მრგვალი მაგიდის წევრი პოლიტიკური ორგანიზაციებისა და კერძო პირების სახელით რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„ა. წ. 30 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა განცხადება ახალგაზრდების ჯგუფისა, რომელნიც მიწვევენ ტელედებატებში. ამ განცხადების ტონი არ შეესაბამება ტრადიციულ ქართულ ზრდილობას (სხვა არა იყოს რა, მე ყოველ მათგანზე 20-25 წლით უფროსი ვარ), გარდა ამისა, მათ არავითარი მორალური და იურიდიული უფლება არა აქვთ, მე და ჩემს მეგობრებს გვიკარნახონ პირობები ამგვარი შეხვედრებისა თუ დებატებისა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ უკვე ორჯერ შევთავაზეთ მათ შეხვედრა და დიალოგი (უცხოელი ჟურნალისტების თანდასწრებით) ა. წ. 17 მაისსა და 27 მაისს, რასაც თავი აარიდეს. ახლა კი, ჩვენი საერთო გადაწყვეტილებით, მათ შევხვდებით იმ პირობით, თუ საუბარი იქნება ჯერ მხოლოდ ზნეობის საკითხებზე და ფორუმიდან ჩვენი გამოსვლის მიზეზებზე.

როდესაც ჩვენ შევთანხმდებით ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა ზნეობისა და მათ შორის ურთიერთობის კულტურისა და ეთიკის საკითხებზე, ჩვენ ვიკამათებთ პოლიტიკურ კონცეფციებზეც. მოვითხოვთ აგრეთვე, რომ შემოთავაზებულ ტელედებატებში მათი მხრიდან მონაწილეობდეს ბ-ნი ჯაბა იოსელიანი“.

„ბახტრიონი“ ცხინვალში

ცხინვალში ქართულმა დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“. ეს იყო პირველი სპექტაკლი მას შემდეგ, რაც ამ დასს დიდი ქართველი მოღვაწისა და ლიტერატორის ივანე მაჩაბლის სახელი ეწოდა. პრემიერის საღამოს სწორედ თეატრის შენობა იქცა ქართველთა კონსოლიდაციის ერთ ერად, რომელიც ასე აუცილებელია დღეს ისტორიული სამაჩაბლოსათვის. რთულ და დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, რეკისორ ლერი პაქსაშვილის განხორციელებულ სპექტაკლში ვაჟას ძალოვიანმა, საოცრად კოლორიტულმა, პატრიოტული გრძნობით ანთებულმა სიტყვამ შესატყვისი გამოხმაურება ჰპოვა მაყურებელთა დარბაზში ერთი იდეითა და მრწამსით გაერთიანებულ ქართველობას შორის. რაც გამოიხატა სპექტაკლის დამთავრებისას ანთებული სანთლებით, შემართული ხელებითა და გულებიდან ამოხეთქილი უკვდავი სიმღერით „ჩემო კარგო ქვეყანავ“.

ცნობილი რეჟისორის მიერ განხორციელებულ ამ წარმოდგენაში მთელი თავისი შემოქმედებითი პოტენცია გამოავლინა დასმა. დიდხანს დაამახსოვრდება მაყურებელს ჯ. გორაშვილის ქადაგი, ც. გიგაურის სანათა, ვ. კასრაძის ანდარეზი, დ. დოიჯაშვილის ლელა, თ. მეშვილდეს ლუხუმი, რ. ოტიაშვილის ზეზვა, გ. ქრისტესიაშვილის წოწოლა, ჰ. გოგიძის ჯაბანა, თ. ხიდაშელის უთუარგა, ჯ. გულუხაძის ცისკარა, თ. პურიჭამიაშვილის ვაკუნი, მხატვარ ი. მჭედლიშვილის მიერ შექმნილი სცენური სამყარო.

აქვე უნდა თქვას, რომ სპექტაკლის დეკორაციების დამზადებაში თეატრს დიდად დაეხმარა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. დაბოლოს საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ, პოეტმა რ. ამაშუკელმა სიტყვით მიმართა დასს. მან ილიასნაირად ცხინვალის თეატრისა და, კერძოდ, ამ სპექტაკლის უდიდეს ეროვნულ მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ სწორედ ხელოვნებას ძალუძს შეაკავშიროს და ერთ მუშტად შეკრას ქართველი ერი. და რომ ყოველი, მამულიშვილს ვალია გვერდში ამოუდგეს თეატრს, რომელმაც ასეთი ჭეშმარიტი შემოქმედებითი გამარჯვება იზეიმა.

ნინო სიხარულიძე.

ქართველი ავანგარდისტები გერლინში

ამ ბოლო ხანებში გაბშირდა ხელოვნების მიღწევათა წარმოჩენა უცხოეთში. ამის მაგალითია დასავლეთ ბერლინში შპარკასე-ბანკის შენობაში გახსნილი გიორგი ალექსი-მესხიშვილის, კოკა იგნატოვისა და ირაკლი ფარჯიანის ერთობლივი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია მხატვრების მიერ უკანასკნელ ხანს შექმნილი 60 ნამუშევარი. მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა კატალოგი და პლაკატი. ვერნისაჟმა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია, მის გახსნაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა.

აღსანიშნავია, რომ ამ გამოფენის თაოსანია კოკა იგნატოვი, რომელიც წინა წლებში დასავლეთ ბერლინში მოწყობილი ექსპოზიციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. ამჯერად, მან შეესძლო ქართველ მხატვართა ნამუშევრებით დაეინტერესებინა ასი მარტო ხელოვნების თაყვანისმცემელი, არამედ საქმიანი წრეებიც: ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე ფრანკ ფიშერი, დასავლეთ ბერლინის შემმახვეული სალაროს დირექტორი ვილი ჰელმუტ ბუურგერი, დასავლეთ ბერლინის შემმახვეული სალაროს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჰუბერტუს მოზერი, რომელთა ხელშეწყობა და ფინანსური დახმარება აუცილებელი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შპარკასე-ბანკის შენობაში, სადაც ყოველთვის პრესტიჟული ვერნისაჟები ეწყობა, გამოფენილიყო ქართველ ავანგარდისტთა ნამუშევრები. გალერეის მუშაკები ლუმი დობრესკუ და დორის შედვიდეკა ყველაფერს აკეთებენ საამისოდ, რომ არა მხოლოდ დასახელებულ მხატვართა ნამუშევრები, არამედ საერთოდ თანამედროვე სახვითი ხელოვნება უფრო ფართოდ წარმოაჩინონ მოფლიოში. ამ მხრივ მრავალი წინადადება მუშავდება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი.

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

თეიმურაზ ჩიქოვანი

გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი თეიმურაზ ალექსანდრეს ძე **ჩიქოვანი.**

თ. ჩიქოვანი დაიბადა 1927 წელს თბილისში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მოსკოვის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში, 1959-62 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში, ხოლო 1962-66 წლებში გადაყვანილ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

დიპლომატიური აკადემიის დამთავრების შემდეგ 1968-84 წლებში მუშაობდა უნგრეთის რესპუბლიკაში საელჩოს მდივნად, მრჩევლად.

1984-88 წლებში პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

თ. ჩიქოვანი დაჯილდოებულია როგორც სსრ კავშირის, ასევე უნგრეთის სახელმწიფო ჯილდოებით. მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველო-უნგრეთის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში.

კეთილშობილი მოქალაქისა და სპეტაკი ადამიანის თეიმურაზ ჩიქოვანის ნათელი სახელი დიდხანს დარჩება მეგობრებისა და ყველა იმათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მიხეილ ცქიფურიშვილი

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ვეტერანთა რიგებს 82 წლის ასაკში გამოაკლდა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1939 წლიდან, მიხეილ ვასილის ძე **ცქიფურიშვილი.**

მან საშუალო განათლება ქ. ქუთაისში მიიღო. 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. წლების განმავლობაში იმუშავა პროკურატურის ორგანოებში ჯერ გამომძიებლად, შემდეგ პროკურორის თანაშემწედ, იყო ოზურგეთის რაიონის პროკურორი, ქ. ქუთაისის პროკურორი, აჭარის ასსრ პროკურორი.

მიხეილ ცქიფურიშვილის დამსახურება სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე ღირსეულად იქნა შეფასებული. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით, მედლებით.

კეთილსინდისიერი მოქალაქისა და პროფესიონალის მიხეილ ცქიფურიშვილის ხსოვნას დიდხანს არ დაივიწყებენ მისი ახლობლები და კოლეგები.

საქართველოს სსრ პროკურატურა.

რედაქტორი
მინდია უგრეხელიძე.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

მეორე ჯგუფი

არგენტინა

მონაწილეობდა მსოფლიოს 9 ჩემპიონატში: 1930, 1934, 1958, 1962, 1966, 1974, 1978, 1982 და 1986 წლებში. საუკეთესო შედეგები: მსოფლიო ჩემპიონი 1978 და 1986 წლებში; მეორე ადგილი — 1930 წელს. სულ ნაკრებში 116-მა ფეხბურთელმა ითამაშა, ყველაზე მეტჯერ კემპესმა (18 მატჩი 1974, 1978 და 1982 წლებში) და ფილოლმა (13 მატჩი 1974, 1978 და 1982 წლებში), საუკეთესო შედეგი კი სტაბილესა აქვს (8 გოლი 1930 წ.).

მწვრთნელი **კარლოს ბილარდო:** — ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები ვართ, და ამდენად, წინ აღვუდგებით ყველა გუნდს, ვინც კი ამ წოდების წართმევას შეეცდება. პირდაპირ ვიტყვი, ყველაზე ძნელ ჯგუფში მოვხვდით. მე მოთამაშეები გავაფრთხილე, კამერუნელებიც სათანადოდ შეიფასონ. ჩვენს გარდა ჩემპიონობის პრეტენდენტებად მიმაჩნია ბრაზილიელები, იტალიელები, ჰოლანდიელები, და გფრ-ის ნაკრები. მათგან ერთგვარი უპირატესობა, ალბათ, ბრაზილიელებს ექნებათ.

კამერუნი

მონაწილეობდა მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატში. ნაკრებში მხოლოდ 13-მა ფეხბურთელმა ითამაშა და ერთადერთი გოლი მბიდამ გაიტანა.

მწვრთნელი **ვალერი ნეპომნიაშჩი:** — იმედი მაქვს, რომ, აფრიკელ კოლეგასთან, მანგო ონგუენასთან ერთად, წარმატებით გადავჭრი პრობლემებს; ჩვენი ფეხბურთელების დიდი ნაწილი ხომ საზღვარგარეთის კლუბებში თამაშობს. ის, რომ ჩვენს გუნდს აუტსაიდერთა რიგებს მიაკუთვნებენ, სავსებით გასაგებია ჩემთვის. დანარჩენს თვით ჩემპიონატი გვიჩვენებს.

საბჭოთა კავშირი

მონაწილეობდა მსოფლიოს 6 ჩემპიონატში: 1958, 1962, 1966, 1970, 1982 და 1986 წლებში. საუკეთესო შედეგი: მეოთხე ადგილი 1966 წელს. სულ ნაკრებში ითამაშა 83-მა ფეხბურთელმა, ყველაზე მეტჯერ კი იაშინმა (13 მატჩი 1958, 1962 და 1966 წლებში). მათ შორის ყველაზე შედეგიანია ვალენტინ ივანოვი (5 ბურთი 1958 და 1962 წლებში).

მწვრთნელი **ვალერი ლობანოვსკი:** — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჯგუფი იოლად გადავლახეთ. მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან (კარლ-მარქს-შტატში) ვერ ვითამაშეთ რიგიანად. მსოფლიო პირველობის ფავორიტთა შორის არ გვასახელებენ. ყოველი მიჩტისთვის კონკრეტული გეგმა შევიმუშავეთ. შეჯიბრებას იმედიანად ვიწყებთ. თუ პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებზე ვილაპარაკებთ, ესენია: იტალიის, ბრაზილიის, გფრ-ის, ჰოლანდიის და ინგლისის გუნდები. ყველას არ ჩამოვთვლი — ყოველივე მეტოქეთა მზადყოფნაზეა დამოკიდებული, როცა მეკითხებიან, რომელს ანიჭებ უპირატესობას, ევროპულ თუ სამხრეთამერიკულ ფეხბურთსო, ასე ვუპასუხებ ხოლმე: სკოლებად ფეხბურთის დაყოფის დრო ისტორიას ჩაბარდა. და კიდევ, მე ვაღიარებ აფრიკული ფეხბურთის დიდ აღმავლობას. მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენი ჯგუფიდან ბრძოლას გაგრძელებენ არგენტინელები, რუმინელები და საბჭოთა ფეხბურთელები.

რუმინეთი

მონაწილეობდა მსოფლიოს 4 ჩემპიონატში: 1930, 1934, 1938 და 1970 წლებში. ნაკრებში სულ 47-მა ფეხბურთელმა ითამაშა; ყველაზე მეტჯერ კოვაჩმა (4 მატჩი 1930, 1934, 1938 წლებში) ბიურგერი (4 მატჩი 1930 და 1938 წლებში) და რაფინსკიმ (4 მატჩი 1930 და 1938 წლებში. ყველაზე მეტი (3 გოლი) დობაიმ გაიტანა 1934 და1938 წლებში.

მწვრთნელი **ემერიხ ენეი:** რუმინული ფეხბურთი თანდათან პროფესიული უნდა გახდეს. ახლა, რევოლუციის შემდეგ, უკვე რეალური ნაბიჯები უნდა გადავდგათ. მე სასიკეთოდ არ მიმაჩნია. ჩვენი წამყვანი ფეხბურთელების საზღვარგარეთის კლუბებში გადასვლა, მაგრამ ერთ ჯგუფს (ვთქვათ ჰაჯისა და სხვებს) ნება უნდა დავრთოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ნაკრებში სათამაშოდ მუდამ ჩინებულ ფორმაში ბრუნდებიან.

ჩემპიონატის ფავორიტებად ბრაზილიის, არგენტინისა და იტალიის გუნდები მიმაჩნია, თუმცა, რეალური შესაძლებლობები საბჭოთა და რუმინელ ფეხბურთელებსაც აქვთ.

1921 წლის მარტში ბათუმისთვის დაღუპულ მამულიშვილთა დაკრძალვის ადგილის აღმდგენი და ძმათა სასაფლაოს მომწყობი კომისია აუწყებს სრულიად საქართველოს, რომ მიმდინარე წლის 2 ივნისს, შაბათს, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში 15 საათიდან გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი.

კვირას, 3 ივნისს, სამოქალაქო პანაშვიდი განახლდება დილის 10 საათიდან. 12 საათზე გაიმართება სამგლოვიარო მიტინგი, ხოლო 13 საათზე მოხდება მამულიშვილთა დაკრძალვა საძმო სასაფლაოზე.

ტელეპროგრამა

ორშაბათი

4 ივნისი

პირველი პროგრამა. 11.30 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ორიონის მარყუჟი“ (ქართულ ენაზე). 13.00 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აზოვის ზღვა“. 16.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენგელაიების ოჯახი“. 17.40 — განცხადებები. 17.50 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 18.25 — მოსწავლეთათვის. „სასკოლო ტელევიზია“. 19.05 — გარდაქმნის წახნაგები. „საწარმოს სახეცვლილება“. 19.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ფარშევანგი გალიაში“ (გამეორება). 21.20 — ს. რახმანინოვის მე-2 საფორტეპიანო კონცერტი. სოლისტი ე. ანჯაფარიძე. დირიჟორი ი. ტიმირკანოვი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება. 22.55 — „კვირიაკე“.

მეორე პროგრამა. 16.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩემი ბედი“. I, III სერია. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ჰუსარული ბალადა“.

სამშაბათი

5 ივნისი

პირველი პროგრამა. 11.45 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმი „მარკ ტვენის თავგადასავალი“. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.30 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (გამეორება). 17.05 — ქართული ენის ტელეკურსი. 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლახტის გაკვეთილი“. 18.05 — მოსწავლეთათვის. „ჩვენ და ბუნება“. 18.35 — განცხადებები. 18.40 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 19.00 — მოამბე. 19.30 — „დედასაქართველო — ყველას მშობელი“ (ბავშვთა ფონდის საქველმოქმედო კონცერტი ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზიდან). შესვენებისას — ძილისპირული. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საქველმოქმედო კონცერტის გაგრძელება. 23.15 — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში.

მეორე პროგრამა. 16.05 — მხატვრული ფილმი „აღსარება — გაუცხოების ქრონიკა“. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.55 — მხატვრული ფილმი „ბიჭუნა და დიდი ძაღლი“. 19.00 — მოამბე. 19.30 — „დედასაქართველო — ყველას მშობელი“ (ბავშვთა ფონდის საქველმოქმედო კონცერტის ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზიდან).

ოთხშაბათი

6 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „გამოცდები... გამოცდები“... 11.30 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „15 წლის კაპიტანი“. 13.00 — „ნაშუადღევს“. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლვოვის უნივერსიტეტი“. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხიტა ეუთათელაძე“. 17.00 — „ქართული ფილმის ისტორიიდან“. მხატვრული ფილმი „უგუბზიარა“. 18.20 — მოსწავლეთათვის. „მონოდება“. 18.50 — განცხადებები. 18.55 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.05 — „საუნჯე“. 19.50 — რეკლამა... რეკლამა... 20.00 — მოამბე. 20.35 — მოგონებები ოთარ ონიაშვილზე. 21.10 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 21.30 — ქართველი მხედრები ჰოლანდიაში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ვიდეო... ვიდეო...

მეორე პროგრამა. 17.35 — მხატვრული ფილმი „წინამასწარა ბარტყის ამბავი“. 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტაიუშენი“ (პირველი ჩვენება). 20.00 — მოამბე. 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ნაბიჯი“.

ხუთშაბათი

7 ივნისი

პირველი პროგრამა. 11.45 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. თოჯინური ფილმი „კატა, რომელიც თავისთვის სეირნობდა“. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სადურსა სად ნაიყვან“. 16.40 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.10 მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.30 — მოსწავლეთათვის. „დიდება შენსა მშობელსა“ (ა. წერეთლის დაბადების 150 წლისთავის გამო). 18.10 — განცხადებები. 18.15 — მუსიკალური კალენდრის ფურცლებზე. 19.15 — თეატრალური აფიშა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ფიცი გვწამს, ბოლო გვაინტერესებს...“. 21.05 — საგამოფენო დარბაზებში. რ. ტოფაშვილი. 21.35 — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „საღამო მშვიდობისა“.

მეორე პროგრამა. 16.05 — მხატვრული ფილმი „მესამე დრაკონი“. 17.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „სარკმელი“ და „სალხინოდ მოხმარდეს“. 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.50 — ქართული მხატვრული ფილმი „უგუბზიარა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო დადგმა „გრაფი ლუქსემბურგი“.

საქართველოს ტელევიზიის პოპულარული კვირის პროგრამა

პარასკევი

8 ივნისი

პირველი პროგრამა. 11.45 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმი „ნუკის თავგადასავალი“. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — რუსული ენა. 16.30 — მხატვრული ფილმი „ჰუსარული ბალადა“. 18.00 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 18.30 — ხალხური შემოქმედება. „ჩემო ნათქვამო სიტყვავო“. 18.55 — განცხადებები. 19.00 — ქართული ლიტერატურის ისტორია. 19.25 — ახალი პრეპარატი. 19.40 — მოამბე. 20.15 — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ტრანსლაცია იტალიიდან. 20.45 — ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა — კამერუნი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ჩონგური საქართველოა — სიმები ჩვენ ვართ ყველაო“... (კონცერტის ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული სატელევიზიო ფილმი „ინოლა გურგულიას საბავშვო სიმღერები“. 17.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ფილიალი“. 19.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ყოფა, ყოფა, ყოფა“. 20.00 — „ჩონგური საქართველოა — სიმები ჩვენ ვართ ყველაო“ (ტრანსლაცია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან).

შაბათი

9 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.35 — ათლეტიზმი. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.00 — „მეგობრების ეკრანი“ — ლვოვის ტელევიზიის პროგრამა. 12.05 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.10 — „წინაპართა ნაკვალევზე“. 12.25 — „ანსამბლ „კოლხეთის“ იუბილეზე“. 13.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 14.00 — კონცერტი. 14.40 — საინფორმაციო გამოშვება. 14.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.55 — გლობუსი. 15.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.05 — სატელევიზიო კონკურსი „მე და ჩემი სიმღერა“. 17.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 17.45 — „გახსოვდეს“ — ნაზი კილასონია. 18.30 — ჯადოსნური ეკრანი. 18.45 — მოამბე. 19.45 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურ